პიონერი 3
№ 1961

ეროვნულის მასთან ერთ და ახლოს, ამ მნიშვნელობაზე წეროებზეც, თავის მთავარებთანაა. უფროსი მასწავლებელი ნეფეული.

მესაფეარე თამაზ გაბაძეს შეკრებაზე მოუტანია რაზმი.

ბათუმის პიონერული საშუალო სკოლის მეთორმეტე რაზმის ხალვეგები შეკრება. „არც ერთი ორანი“—ეს რა დაბანაბა რაზმმა მოიკრა მიზნად.

კალთის დამრიგებელი ლეონიდ ფიანაბაძე თავიისუფალ დროს ხალვეგებისა ასწავლის მოწაფეებს ტანმეულობის დაშვებაებას. მას მშობლებიც ეხმარებიან.

ერთი რაზმის ცხოვრებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურას სამზადისი

ბაკეთილების შემდეგ ზურა კალანდარაშვილი პირდაპირ შინ მოვიდა. დაფიქრებული იყო, ტანისამოსი გამოიცვალა, ხელსაბირი დაიბანა.

— რა იყო, შვილო, გაწყენინა ვინმემ? — მიესიყვარულა მოწყენილ შვილიშვილს ბაბუა ვლადიმერი.

— არა, ბაბუ, საქმე მაქვს,—გაღიმა ზურას და ბაბუას გადახედა. მოხუცი ღუმელთან იჯდა. დიდი, დაკოცრილი ხელები მუხლებზე დაეწყო, ცისფერი თვალები ალურსით უციმციმებდნენ. ზურა მივიდა ბაბუასთან და თოვლიანი გაფთრებული ულაცაშებში აკოცა.

— რა კარგი ხარ, ბაბუა!

გარეთ წვიმდა.

— ბაბუ, შეშა გვაქვს?

— გვაქვს, შვილო, რა იყო?

— ხვალ ჩვენი რაზმი აქ მოვა. შეკრება გვექნება.

— მარილა?—თქვა ვლადიმერმა და მეტი არაფერი უკითხავს, არც შვილიშვილს უთქვამს მეტი. ზურა მეორე ოთახში გავიდა, რაღაცეები გადადგა-გადმოდგა, ჩვარი მოიტანა, მტვერი გადაწმინდა, მერე დიდი ქვაჩები მოათრია და იატაკზე დაიწყო.

დიდი ხანია ვლადიმერს შვილიშვილის ასეთი სიხეტკითე არ ენახავს, განსაკუთრებით წელს, ამ მეხუთე კლასში რაღაცნაირად შეიცვალა ბიჭი. სულ ტეხისკენ ეპირა თვალი.

ახლა რა მოხდა? მოხუცს ეჩქარებოდა შვილისა და რძლის მოსვლა, რომ ეთქვა ახალი ამბავი.

რაზმის სამანგებო შეკრება

რაზმის საბჭომ გადაწყვეტა მოეწყოს საგანგებო შეკრება. ამ შეკრებაზე იქნებოდნენ მასწავლებლებიც და მშობლებიც. ყველანი ერთად იმსჯელებდნენ, რაში იყო მეთორმეტრაზმელების მარცხის მიზეზი.

ისეოლასა და ოჯახში?, — ასეთი იყო ამ რაზმის შეკრების თემა.

დანიშნულ დროზე თავი მოიყარეს ზურასთან.

მესაყვირე თამაზ გაბაძეს აახმიანა თავისი საყვირი, და რაზმის შეკრება დაიწყო.

— მოდით, მეგობრებო, დღეს გულახდილად ვთქვათ,—დაიწყო ვალენტინა სიხარულიძემ, —რა გვიშლის ხელს! ეთქვათ ყველაფერი, როგორები ვართ სკოლაში და როგორები ვართ შინ... ჩვენი რაზმი შეიდწლედის თანამგზავარი იყო. ბათუმის პირველ საშუალო სკოლაში მეთორმეტე რაზმზე დიდი და პატარა გეტყოდათ, საუკეთესოთა! სახელი“ შარშან გავიარეთ, როცა მეოთხე კლასის გამოსაშვები გამოცდები წარჩინებით ჩა-

მოიწონებენ თუ არა მეგობრები მის ნახელავს?

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორკავშირთა ორგანიზაციის რეხაუნდოვანი საბჭოს ეროვნულთვიური საბავშვო ჟურნალი

რედაქტორი რეგვა მარგველი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბერიანიძე, ბ. ლეონიძე (პ/მ. მდივანი)
მარიკაძე, რ. ქორქია, რ. ელანიძე, ვ. ფოფხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი)

ბეჭდვითების წელი
XXXV

პიონერი 3 1961

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეარის რაზმის ცხოვრებიდან

ეარის კავალრები, მეც პიონერი ვიყავი! — ფიქრობს ამ შეკრების ყველაზე ნორჩი ხელგარჯილი.

ხელგარჯილობის კამპანიაში.

ფოტო გ. თოკანაძისა

ვაბარეთ და ასაროცენტიანი მოსწრებით გადავედით შემდეგ კლასში.

პიონერები ეარ ჩუმად ისხდნენ. ჩუმად ისხდნენ მშობლები და მასწავლებლებიც.

მერე რაზმელებმა ერთი მეორის მიყოლებით დაიწყეს, და აი, რა უამბეს შეკრებას.

პიონერთა აპარში

ეს იყო შარშან.

პიონერთა მარკეში ხმაური იდგა, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ. ზოგს ბარი ეჭირა, ზოგს თოხი, ეიღაცას კიდევ — ყოფილი. დღეს მორიგეობდნენ მეთორმეტეკლასელები. ბიბეები, ბარადნენ, მერე თოხით აფხვერებდნენ მიწას, გოგონები რგავდნენ და თესავდნენ ყვავილებს. გაზაფხლით მოსულიყო ბათუმში.

—ყოჩაღ, მეთორმეტეკლასელებო! — მოიწონა ნამუშევარი უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მედა კეშელავამ.

* * *

რაზმს შემდეგი გამპარეკვება ეართის დიდი რაიდენინობით შეგროვებამ მოუტანა.

ხელგარჯილობის კამპანიაში

— მე კონსტრუქტორი ვიქნები, — ამბობდა თემო გოგეშელი და მოელი საათობით აწყობდა თვითფრანაკის მაკეტს.

— მე კი ინჟინერი ვიქნები, —ასეთობდა თენგიზ ჩარკვიანი, —სახლებს ავაშენებ...

მეთორმეტეკლასელებმა უყვარდათ აქ ყოფნა. ეჩიდნენ, ამაღლებიდნენ ფიცრებს. მერე ზოგი ხიდს აკეთებდა, ზოგი მაგიდას აკეთებდა... აქ ნახავდით ბავშვებს, ზრაფოვანებს, ეარელ ბებიებს, ეარელ ბაბუებს, ეარელ ბიბეებს, ეარელ ბარადნენ, ეარელ ბარადნენ, ეარელ ბარადნენ

მაყვალა მრევლიშვილი

ადიდი სამამულო ომი რომ დამთავრდა და ცხოვრებამ თავის კალაპოტში იწყო ჩადგომა, ჩვენი საბავშვო ჟურნალების აღდგენის საქმეც დღის წესრიგში დადგა. საჭირო იყო ნორჩი თაობის აღზრდის ამ პასუხსაგებ უბანზე ცოდნითა და საქმის სიყვარულით დაჯილდოებული ხალხის მიწვევა. რამდენიმე სხვასთან ერთად, მაშინ მაყვალა მრევლიშვილიც გამოარჩიეს.

ეს იყო თითქმის თხუთმეტი წლის წინათ. მაყვალა მრევლიშვილი მაშინ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი ქალი იყო. მის კალამს ეკუთვნოდა ლირიკული ლექსების წიგნი და კიდევ... საყმაწვილო ლექსების მშვენიერი კრებული.

იმ პირველ საბავშვო წიგნში უკვე იგრძნობოდა ის დიდი და გულმხურვალე სიყვარული ჩვენი ნორჩი თაობისადმი, ურომლისოდ არავინ სწირავს მთელ თავის ცხოვრებას საყმაწვილო ლიტერატურას, ურომლისოდ არ არსებობს საყვარელი საბავშვო წიგნები.

და აი, თხუთმეტი წელიწადია თითქმის, — მაყვალა მრევლიშვილი ჟურნალ „დილას“ რედაქტორის მოადგილეა, თხუთმეტი წელიწადია პოეტის ხელიდან გამოდის ერთიმეორეზე უკეთესი საყმაწვილო წიგნები. მაყვალა მრევლიშვილი პატარების საყვარელი პოეტია.

* * *

„—ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,
ვის უგალობ, ვისა?
— შენ გიგალობ, პატარავ,
დილამშვიდობისა!“...—

ხუთიოდე წლის გოგონას სათამაშოებისათვის თავი მიენებებინა, ხალიჩაზე ფოჯინასავით ფეხმორთხმულს, მუხლებზე დასურათებული წიგნი გაეშალა, თითს ბეჯითად აყოლებდა სტრიქონს და შეუცდომლად „კითხულობდა“ მაყვალას ლექსს.

„—მზეო, მზეო, ცხრათვალავ,
ვის უცინი, ვისა?
— შენ გიცინი, პატარავ,
დილამშვიდობისა!“

მე ძალზე მესიამოვნა, მაგრამ გამიკვირდა კიდეც— სკოლამდელი ასაკის ბავშვი ასე კარგად კითხულობდა წიგნს — და შევაქე. მასპინძლები ცბიერად იღიმებოდნენ, ხოლო ქებით წახალისებული გოგონა წიგნს ფურცლავდა და სხვა საყვარელ ლექსებს „მიკითხავდა“:

„ნუ შეშინდი, ია!
კი არ მოგწყვეტს მზია,
მხოლოდ უნდა გნახოს,
მოგიჯდება ახლოს,
სხვა ბავშვებსაც ეტყვის, —
ხელი არვინ გახლოს!“

მერე „ჭუპა-ჭუპა“ და „კაპიტანი“ „წაგვიკითხა“, ზედ „საწყალი კურდღელი“ და „მხიარული გოჭი“ მიაყოლა და, როცა „საქანელაში“ სტრიქონი გადასვა და თავისი რედაქციით ჩაგვიბულბულა, მაშინღა მივხვდი—„ზეპირად კითხულობდა“.

შემდეგ ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ მაყვალას ლექსებზე. მშობლებმაც ზეპირად იცოდნენ ის ლექსები და დიდი მადლობით იხსენიებდნენ პოეტს. ვბრუნდებოდი შინ და ვფიქრობდი: არ არის ქვეყნად იმაზე მეტი ბედნიერება, ცხოვრობდე შენთვის თავმდაბლად, იჯდე გვიან ღამით შენს საწერ მაგიდასთან, წერდე კარგ ლექსებს, ხოლო მათ, ვინც ჯერ წერა-კითხვაც არ იციან, იმ ლექსების „წაკითხვა“ არ უჭირდეთ და სამუდამოდ, წარუშლელად ჰქონდეთ აღბეჭდილი მეხსიერებაში.

* * *

სწორედ თავმდაბლობა ამშვენებს მაყვალა მრევლიშვილს როგორც მწერალს, როგორც საზოგადო მოღვაწეს და საბავშვო ჟურნალის მოამაგეს. მწერლებისა და მხატვრების დიდი რაზმია შემოკრებილი ჟურნალ „დილას“ ირგვლივ. ჟურნალი პატარაა, მაგრამ მის კარგად გამოცემას დიდი ფიქრი და ზრუნვა სჭირდება. მაყვალაც თავის ცოდნას და ენერგიას არ იშურებს.

აი, მაყვალას ახალგაზრდა მწერლები ახვევიან გარს რედაქციაში. მაყვალა ხელნაწერს ჩასცქერის და ფრთხილად, გულისხმიერად, ისე, რომ არც გული ატკინოს და არც სიმართლე დაუმალოს ავტორს,—ნაწარმოების ნაკლოვანებებზე სიტყვას ეძებს. ნაკლს პირში ეტყვის, კარგს მოუწონებს და, თუ ახალგაზრდას ნიჭი შეატყო, ნაწარმოებს დაუბეჭდავს და წაახალისებს.

არც უფროსებს მოერიდება მაყვალა. ერთ კოქლ სტრიქონზე მთელ პაექრობას გაუმართავს სახელმოხვე-

ჭილ მწერალს და, ვიდრე ჩარხში არ გამოაყვანინებს, არ მოეშვება.

შემოდიან მწერლები და მხატვრები რედაქციაში, სხდებიან, საუბრობენ ჟურნალის საჭირბოროტო საკითხებზე და ხედავ: ყოველ სახეზე სიყვარული და პატივისცემაა აღბეჭდილი მაყვალასადმი.

მთავრდება სამუშაო დღე, მაგრამ ჟურნალზე მუშაობა შინაც გრძელდება: წკრიალებს ტელეფონი, რეკავენ ბინაზე მწერლები, საჭიროა თვითონაც დაურეკოს ზოგს, ჰკითხოს, რას უმზადებს საჩუქრად ნორჩ მკითხველს; გამოესაუბროს, სთხოვოს, შთააგონოს, აამუშავოს ჟურნალის საკეთილდღეოდ.

ხოლო შინ სხვაც ათასი საქმეა; საყვარელი ოჯახი და ქმარ-შვილი! და, რაც მთავარია, პატარა გია—ოთხი წლის შვილიშვილი და ჭირვეული „მკითხველი“.

* * *

ბინაში ვართ მაყვალა მრევლიშვილთან. ესაა სადად და გემოვნებით გაწყობილი სამუშაო ოთახი. ჩვენს წინაშეა მასპინძელი—ქართველი პოეტი და ქართველი დედა—ჯერ კიდევ ახალგაზრდა და წელგამართული, სათნო და კეთილშობილი ღიმილით სახეგანათებული.

ისევე, როგორც თხუთმეტი წლის წინათ, კედლიდან დაგვცქერიან ლადო გუდიაშვილის, უჩა ჯაფარიძის და კიდევ—მაყვალას მამის, ქართველი მხატვრობის კლასიკოსის ალექსანდრე მრევლიშვილის ნამუშევართა ორიგინალები.

ვის არ ახსოვს დიდი მხატვრის „დაბალი ღობე“ და „სოფლის კანცელარიასთან“! აი, კედლებზე მისი ფანქრით შესრულებული ჩანახატები! აი, მისი ესკიზები ფერში და დამთავრებული ავტოპორტრეტიც...

მაყვალა მრევლიშვილი შინაურობაშიც ისეთივე სადაა და მომხიბლავი, როგორიც საზოგადოებაში. დიდი მხატვრის პორტრეტიც თითქოს კმაყოფილებით დაჰყურებს სახელოვანი ასულის ცხოვრებას.

შემოქმედება და საქვეყნო საქმე გამოდიოდა და კვლავაც გამოდის მრევლიშვილების ოჯახიდან.

მურმან ლეგანიძე

ვიქტორია სირაძე

ბოსაცდელი ოთახი ხალხით არის სავსე. მიდიან-მოდიან, დაბალი ხმით მუსაიფობენ. გვერდით კარები მალ-მალე იღება და იხურება. ყველა თავის რიგს ელოდება. გია, მანანა და თამარი ელოდებიან. წითელყელსახვევიანი პიონერები კუთხეში მიმდგარან მორიდებით. უკვირთ, როდის უნდა მიიღოს ამდენი ხალხი, თურმე ყველას უნდა მოუსმინოს, ყველას ელაპარაკოს... ძნელი ყოფილა პარტიის რაიკომის მდივნობა.

ნეტავ, რა უნდა იმ თეთრწვერებიან მოხუცს, თავისი ვეებერთელა ჩანთა მაგიდის რაფაზე რომ ჩამოდგა და ზურგზე ხელშემოწყობილი დინჯად დადის წინ და უკან... ან იმ ახალგაზრდა ქალიშვილს, ნაღვლიანი სახით რომ იცდის?

— შემოდით!—მოულოდნელობისაგან მანანა შეკრთა. მათ წინ ახალგაზრდა კაცი იდგა,—მოდით, ვიქტორია გელოდებათ,—ალერსიანი ხმით უთხრა მან და წინ წარუძღვა.

კარები გაიღო. მაგიდის იქეთ დეიდა ვიკა იდგა და იღიმებოდა. იგი მხიარულად მიესალმა პატარა სტუმრებს. პიონერები თამამად მივიდნენ. უკვე იცნობდნენ თავიანთსკოლელ ვიქტორია სირაძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივანს. თავისუფლად ემუსაიფებიან.

რაზმეულმა დაიწყო თავისი მატიანის შედგენა. ყველა უნდა მოიწვიოს, ვინც ეს სკოლა დაამთავრა და მერე თავისი საქმიანობით ასახელა. ყველას მონახავენ, სადაც არ უნდა იყვნენ. თამრო თამამი გოგო ჩანს. ის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ყოფილა. თვალები უციმციმებს, ეტყობა, ეს მისი თაოსნობითაა, და თავი მოსწონს.

* * *

თითქოს ეს იყო გუშინ და ოცი წელი კი გასულა. პატარა, ნაწნავიანი გოგო რაზმის მზად ყოფნაზე უპატაკებდა ცნობილ მფრინავს ჭანკოტაძეს. მაშინ მეოთხე კლასში იყო. ყველაფერი კარგად ახსოვს, რა დიდი შთაბეჭდილება დატოვა გმირის ნაამბობმა... ადამიანს ყველაფრის გაკეთება შეუძლია, თუ მოინდომებს. ფეხი არა აქვს და დაფრინავს! როგორ მიაღწია ამას!— უკვირდა ვიკას, უკვირდა რაზმს. არაჩვეულებრივი იყო ეს შეხვედრა და არაჩვეულებრივად დამთავრდა: გმირმა მთელი რაზმი აეროდრომზე მიიწვია, თვითმფრინავში ჩასვა და თხუთმეტი წუთი ჰაერში ასეირნა.

თვითმფრინავი დედამიწას რომ მოწყდა და ზევითზევით ავიდა, შიში არ უგრძვნია... ახლაც სიამოვნებით იგონებს იმ პირველ გაფრენას.

* * *

სკოლა იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს. მოელიან როგორც სტუმარს. ის კი აქ პიონერხელმძღვანელი იყო, მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, აგიტატორი. არც ერთი საკითხი არ გადაწყდებოდა უმისოდ.

მოითათბირებდა ამხანაგებთან, აიყოლიებდა მთელ



ბიას ძალიან უყვარს დედასთან საუბარი...

კლასს და აწყობდნენ რაზმეულის შეკრებას, საინტერესო ექსკურსიებს, წიგნების განხილვებს, მწერლებთან შეხვედრებს, ხელნაწერი გაზეთიც ჰქონდათ და ჟურნალიც.

მერე დაიწყო ომი. უცბად გაიზარდნენ, დასერიოზულდნენ. ბავშვობა დამთავრდა. ყველა აკეთებდა, რაც შეეძლო. ვიკას რაზმი გვიან ღამემდე ამზადებდა ფრონტზე გასაგზავნ ამანათებს... ყოველ დღე, გაკვეთილების შემდეგ აკითხავდნენ ფრონტელთა ოჯახებს, უჭრიდნენ შეშას, უზიდავდნენ წყალს, ართობდნენ პატარებს. არაფერი არ ეზარებოდათ, მხოლოდ სამშობლოს გამოდგომოდნენ, მისთვის გაეკეთებინათ რაიმე სასარგებლო.

* * *

დღეს დღე გაყვა, წელიწადი—წელიწადს. ოქროსმედალოსანი ვიქტორია სირაძე თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მივიდა. დაიწყო საინტერესო ცხოვრება. მოთმინებით იჯდა და ხაზავდა. შინ ყველანი რომ დაიძინებდნენ, ვიკა კიდევ ფიზიზლობდა, ხან კითხულობდა, ხან ხაზავდა. მალე ქიმია-ტექნოლოგიის ფაკულტეტის ყველა სტუდენტი გაიცნო. სამეცნიერო წრის წევრი გახდა. ამხანაგებს მოსწონდათ, რომ ვიკა კარგ სწავლას ყოველთვის ათავსებდა კარგ საზოგადოებრივ მუშაობასთან. სამეცნიერო წრეზე წაკითხული მოხსენებებისათვის ორჯერ მიიღო ჯილდო. ამ დროს ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივანი იყო, მერე ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გახდა.

ხუთი წელი დაძაბულ შრომაში გავიდა. ინსტიტუტი დაამთავრა. რა აირჩიოს? ამ საკითხის გადაწყვეტაში ვიქტორიას მისი მასწავლებლები და პროფესორები დაეხმარნენ: საუკეთესო სტუდენტი იყო და ასპირანტურაში დატოვეს, სილიკატების კათედრაზე. ვიკა სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ემზადებოდა.

* * *

ყოველ დილით, ძალიან ადრე, როცა ქალაქს ჯერ კიდევ ძინავს, რაიკომის მდივანი ქალი საბურთალოსაკენ მიიჩქარის. საბურთალო თბილისის ყველაზე ახალგაზრდა უბანია, იგი სულ რამდენიმე წელიწადში პატარა ქალაქს დაემსგავსა. უამრავი სახლი გაშენდა და შენდება კიდევ, იზრდება აქეთ ქალაქი. ვიკა ათვალიერებს მშენებლობებს, დაწვრილებით იცის ყველაფერი, სად რა შენდება: აქ სკოლა-ინტერნატი იქნება, იქეთ— საცხოვრებელი ბინები, აქ—ბაღი. იქ—მოედანი; ესაუბრება მშენებლებს, მიუთითებს. იცის, ვის როგორი დახმარება სჭირდება.

ვაკე და საბურთალო, რომელსაც ორჯონიკიძის რაიონი აერთიანებს, თბილისის ყველაზე დიდი რაიონია. აქ არის უნივერსიტეტი, თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი და ოცდათორმეტი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი...

და აი, რაიკომის მდივანი ქალი მივა მშობლიური სკოლის რაზმეულის შეკრებაზე და ძველებურად უპატაკებს მისი რაიონის დიდ და საინტერესო ცხოვრებაზე.

მ. თავბერიძე

ქრისტინე მჭადიჯვრელი

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხი გმირულად ებრძოდა მომხდურთა ურდოებს. ხალხმა თავის ბალადებსა და ლეგენდა-თქმულებებში გმირთა სახეები ცოცხლად აამეტყველა და ისინი შემდგომ თაობათა მისაბაძ მაგალითებად დასახა.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირ ვაჟკაცებს გვერდით უდგნენ გმირი ქალებიც. ქრისტინე მჭადიჯვრელი სწორედ ასეთ გმირთა რიცხვს ეკუთვნის. ის XVIII საუკუნის საქართველოს მღელვარე ისტორიის გმირია.

ქრისტინე არაგვის ხეობის სოფელ მჭადიჯვრის მკვიდრი ყოფილა. იგი ახალგაზრდობიდანვე გაწაფულა ქართული სპორტის თითქმის ყველა სახეობაში: ფარიკაობაში, მიზანში სროლაში, ჯირითში; ახალგაზრდობაშივე ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა მტრებთან ბრძოლაში.

მოხუცებულობის ჟამს ქრისტინეს კვლავ მოუხდა ბრძოლა ქართლში შემოჭრილ მტრებთან. მიუხედავად ხანდაზმულობისა, არნახული გმირობა ჩაიდინა, რითაც უკვდავყო თავისი სახელი ხალხის გულში.

1756 წლის ზაფხულში ქართლ-კახეთს შემოესია ნურსალ ბეგის ურდო, რომლის მიზანი ქართლის ციხეებისა და, პირველ რიგში, გორის უმტკიცესი ციხის ხელში ჩაგდება იყო. მოღალატე თავადების წყალობით მტერი მჭადიჯვრისა და ცხვილოსის ციხეებს შემოადგა. სოფლის მოსახლეობა მჭადიჯვრის ციხეში შეიხიზნა. ქართველი ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი, რომელიც ამ ამბების მომსწრე იყო, წერს: „ჩამოხდა თვითონ ხუნძახის ბატონი ციხის ბოლოს, ჭალაში გააკეთებინა სანგარი მაგარი, დაადგმევინა კარავი, დადგა შიგ და აბრძოლა ციხეს ჯარი. იყო დღე და ღამ ბრძოლა და ომი განუწყვეტელი. არ ავად იყვნენ მყოფნი ციხისანი, მრავალი მოკლეს და დიდათაც გულმამაცად იყვნენ ციხის კაცნი“.

დიდხანს უძლებდა მტრის ალყასა და იერიშებს მჭადიჯვრის ციხე-სიმაგრე. მაგრამ მტრის იერიშებიც ძლიერდებოდა. ნურსალ ბეგმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გაეტეხა ქართველთა წინააღმდეგობა და იერიშით აეღო ციხე. მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა.

თოფ-იარაღში ჩამჯდარი მოხუცებული ქრისტინე ყველას ამხნევებდა და გმირული ბრძოლისაკენ მოუწოდებდა; ციხის გოდოლზე გადმოდგა და მოიერიშე მტრის რაზმის ბელადი თოფის ერთი გასროლით ცხენიდან ძირს გადმოაგდო. ციხეში მყოფნი აღფრთოვანებამ, მტერი კი შეშფოთებამ მოიცვა.

წარჩუნიდან

საქართველო

მტერი იერიშებს არ წყვეტდა. ახლა სხვა რაზმმა მიიტანა იერიში ციხეზე. ქრისტინე ვერ შეაკრთო ახალმა იერიშმა. მან მტრის ამ რაზმის მეთაურიც გამოასალმა წუთისოფელს, ხოლო რაზმის მესამე მეთაურს ფეხის ძვალი გაუხვრიტა ტყვიით. ამან სულ გააბოროტა მტერი, მაგრამ ღამემ მოუსწრო და ბრძოლაც შეჩერდა.

ქრისტინემ ისარგებლა ღამის სიბნელით, ციხის დარანით მტრის ბანაკში ჩამოიპარა და მტერს შვიდი საფარი დაუწვა. მტერი, ღამის სიბნელის მიუხედავად, გონს მოვიდა, ქრისტინეს ფეხდაფეხ დაედევნა და მახვილით განგმირა.

მეორე დღეს მჭადიჯვრის ციხესთან ძლიერ ურდოებს გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა ქართლ-კახეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა, რომელსაც დიდი სარდალი ერეკლე მეფე მეთაურობდა. სასტიკი ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

ქრისტინეს ნაწამები ცხედარი იპოვნეს და დიდი პატივისცემით დამარხეს. მემატიანემ კი გმირი ქალის ხსოვნა საქართველოს ისტორიაში აღნიშნა. დავით ბაგრატიონი თავის თხზულებაში წერს: „ჰოი, საკვირველი! ერთმა მოხუცმა დედათაგანმან მჭადიჯვრელმა, იხმარა სული მამაცობისა, გამოვიდა ციხით, რაოდენიმე ლეკნი მოკლა ხელითა თვისითა და რაოდენიმე დაუწვა ხის შვიდი საფარი ლეკთა, ხოლო უკანასკნელ მოჰკლეს იგიცა, რომელსაც დღეს ქებასა მისსა მოუთხრობენ შაირითა მესტვირენი“.

მართლაც, ხალხმა თავისი გმირის სახელი ზეპირსიტყვიერებაშიც შეინახა. ლექსებს თხზავდნენ სახალხო მელექსენი, ხოლო მესტვირეებმა ქრისტინეს სახელი მთელ საქართველოს მოჰფინეს.

„ხუნძახმა თქვა: სარდალი ვარ,
თუ რომ ჩემი გაიგება.
შვიდი დღე და შვიდი ღამე
დაჯდა, წვერი შეიღება.
თუ გორის ციხე ავიღეთ,
ქართლი ჩვენი შეიქმნება.
მჭადიჯვარს რო მოვატანეთ,
საქმე მაშინ გაჭირდება.
იქ რომ ბებერმა საქმე ქნა,
ის არ უქნია სხვასაო,
ორი ბელადი მოგვიკლა,
მთელ შეყრილ დაღისტანსაო.
მესამე რომ გამოვიდა,—
დახე იმ ჭკუა მცდარსაო.
ესროლა თავის მაჟარი,
გაარტყა შუა ძვალსაო.“

ხალხური სიტყვიერების მკვლევარები და ისტორიკოსები დიდხანს ეძებდნენ და იკვლევდნენ გმირი მჭადიჯვრელი ქალის ვინაობას, მაგრამ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ვერაფერი იქნა მიკვლეული. ბოლო დროს მოხერხდა გმირი ქალის სახელის დადგენა—ქრისტინე რქმევია. ხოლო მისი გვარი, პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძის ვარაუდით, ცქირიაშვილი ყოფილა.

ვ. სიდამონიძე

მართლაც ბევრი ქვეყანაა,
საოცნებოდ დახატული,
ზოგგან ტყეა, ზოგგან ზღვაა,
ზოგგან მოჩქეფს ნაკადული.

ზოგგან კუშტად დგანან მთები,
ზოგს ამშვენებს ნარინჯები,
ზოგგან თეთრად ანანთები
თოვლი უყვართ გაგიჟებით,

ზოგს მზის სხივიც არ უგრძვნია,
ზოგი მუდამ გამთბარია,
ზოგგან მუდამ ზაფხულია,
ზოგგან მუდამ ზამთარია.

ზოგის ნახვა ნატვრად მექცა,
ზოგი თვითონ მოვიარე...
მაგრამ სხვაა ჩვენი ზეცა,
მაგრამ სხვაა ჩვენი მხარე.

სხვაა ჩვენთა წინაპართა
ვაჟკაცობა წინანდელი,
სხვაა ჩვენი მიწის კალთა,
მიხი აწმყო სხივნათელი.

ზღვიანიც და მთებიანიც,
თბილიც, თოვლისვერცხლიანიც,
მართლაც სანატრელი არი
მხარე ბულბულ-მერცხლიანი.

ბევრ ჭირვარამს რომ გადარჩა,
მტერს ლხინი რომ არ აჩვენა,
იგი მისთა შვილთა გარჯამ
კიდევ უფრო დაამშვენა.

ძველთაძველიც და ახალიც,
დედამიწის ცისარტყელა,
საოცნებო ჩვენი მხარე
დღეს ოქტომბრის შუქში ელავს,

თოთხმეტ ძმასთან ძმობა გვამკობს,
ეჭედთ მომავლის განთიადებს,
ზეცას ვწვდებით...
და ვამაყობ,
რომ ქართველად დავიბადე.

ნოდარ გურეშიძე

საჩუქრები

ეართლაც, კარგი რამ არის საჩუქარი! აბა, იმაზე სასიამოვნო რაა, როდესაც გრძნობ, რომ შენს მეგობარს არ დავიწყებიხარ, ახსოვხარ, იცის, როდისაა შენი დაბადების დღე და თავის ყურადღებას საჩუქრით გამოხატავს. თუნდაც პატარა საჩუქრით! ტყუილად კი არ უთქვამთ: «კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირებისო».

განა წიგნი, ყვავილი, ლამაზი სამელნე თუ ფერადი ფანქრები ცუდი საჩუქარია? პირიქით!

როდესაც დიდი მწერალი მაქსიმ გორკი კუნძულ კაპრზე იმყოფებოდა, მისმა ვაჟიშვილმა მაქსიმმა მშვენიერი ყვავილი გაახარა მამის ეზოში. მაქსიმ გორკი მეტად ნასიამოვნები დარჩა შვილის საჩუქრით: «შენ წახვედი, შენი დარგული ყვავილები კი ჩემთან დარჩნენ და იზრდებიან. ვუმზერ მათ და სიამოვნებით ვფიქრობ, რომ ჩემმა ბიჭუნამ კაპრზე რაღაც კარგი დამიტოვა—ყვავილები».

თუ გორკის, ამ დიდ ადამიანს ასე ახარებდა შვილისაგან პატარა ყურადღებაც კი, რაოდენ ძვირფასი უნდა იყოს ჩვენი, ჩვეულებრივი მშობლებისათვის ეს ყურადღება.

დედები, მამები დღე-ღამ თქვენზე ფიქრობენ, თქვენთვის ზრუნავენ, შრომობენ. აი, დედა დილით სამსახურისაკენ მიიჩქარის, მაგრამ დროს მაინც პოულობს, ნავთქურაზე გაგიცხელოს კერძი, ერთხელ კიდევ შეამოწმოს როგორ დაამზადე გაკვეთილი. როდესაც მამა ხელფასს იღებს, ოჯახი ნაწილს შენი ფეხსაცმლებისათვის, წიგნებისათვის თუ ტანსაცმლისათვის გადადებს ხოლმე. შენი დაბადების დღისათვის კი დედ-მამა საგანგებოდ ემზადება. იწვევენ შენს მეგობრებს, ამხანაგებს; დიდხანს მსჯელობენ, რა საჩუქრები უფრო გაგახარებს, რა უფრო საჭიროა დღეს შენთვის... მერედა, განა მშობლებსაც არა აქვთ დაბადების დღე? აი, თუნდაც 8 მარტი. ამ დღეს ხომ მთელი მსოფლიოს ქალები ზეიმობენ? ეს ხომ ქალთა დღე არის? თქვენ ჯერ კიდევ არ მსახურობთ, არ გაქვთ საკუთარი თანხა, მაშ, როგორ უნდა მიულოცოთ დედებს, დებს, საყვარელ აღმზრდელებს 8 მარტი? მოდით, ამაზე ვიმსჯელოთ.

წელს ერთ სკოლაში, მეორე რგოლშიაც ამაზე მსჯელობდნენ. იფიქრეს, იფიქრეს, რით გავახაროთ ჩვენი მასწავლებელიო. ბოლოს ასე გადაწყვიტეს: შევაგროვოთ ფული, საჩუქრების მაღაზიაში წავიდეთ და ყველაზე ძვირფასი რამ შევარჩიოთო. ახეც მოიქცნენ. წინა დღეებში მშობლებს გული გაუწყალეს ფულის თხოვნით. ზოგი პიონერი საუზმის ფულიდანაც დანაზოგს აკეთებდა. და აი, დადგა 8 მარტი. რგოლი საიდუმლო ჩურჩულით შევიდა კლასში, თან რაღაც შეფუთული შეიტანეს მოწიწებით. დაირეკა ზარი. მასწავლებელმა მხიარულად შემოაღო კლასის კარი. რა საზეიმო დუმილი იდგა! როგორ პრიალებდა დაფა, რა ღიმილით იჭვრიტებოდა მარტის მზე გაკრიალებულ ფანჯრებში! მასწავლებლის მაგიდაზე კი წყლიან ჭურჭელში იების, ენძელებისა და ყოჩივარდების კონები ეწყო. დეიდა თამარი დაიხარა, უყნოსა ყვავილებს და სიყვარულით გადახედა პატარებს, თვალებით მადლობა უთხრა. «მოგილოცავთ 8 მარტს!»—ერთხმად ახმაურდა კლასი. მასწავლებელმა თავისი პორტფელი გახსნა და რვეულები ამოალაგა... დადგა მეორე რგოლისათვისაც საზეიმო წუთი!—რგოლის ხელმძღვანელი, პატარა თინიკო, მერხიდან წამოდგა და მასწავლებელს მთელი რგოლის სახელით საჩუქარი მიართვა. დეიდა თამარმა შეფუთული გახსნა. მთელმა კლასმა წინ წამოიწია, რათა საჩუქარი დაენახა; ეს იყო ტყავის ახალთახალი პრიალა პორტფელი,—ათასნაირი ჯიბეებითა და საკეტებით. კლასს აღტაცების ხმა აღმოხდა. მაგრამ დეიდა თამარმა საყვედურით გადახედა რგოლს, უხმოდ გადადო პორტფელი და ბავშვებს რვეულები ჩამოურიგა. თავი ჩაკიდეს მეორე-

რგოლელებმა და მიხვდნენ, რომ საყვარელი პედაგოგისათვის ის გაზაფხულის ყვავილები უფრო ძვირფასი საჩუქარი იყო, ვიდრე ძვირფასი ტყავის პორტფელი.

იქნებ შემედაოთ, რატომ უნდა სწყენოდა დეიდა თამარს ასეთი კარგი საჩუქარიო? მაგრამ დეიდა თამარი მართალი იყო: თქვენ ჯერ კიდევ პატარები ხართ, არ გაქვთ საკუთარი ფული, ამიტომ ასეთ ძვირფას საჩუქარს სხვისი ხარჯით, ესე იგი მშობლების ხარჯით აკეთებთ. გარდა ამისა, აბა რომელ უფროსს მოეწონება ის ამბავი, რომ საუზმეს იკლებთ და ამ დანაზოგით მათთვის საჩუქარს ყიდულობთ? ამიტომ, როდესაც რაიმე საქმის წამოწყებას აპირებთ, აუცილებლად უნდა კითხოთ რჩევა უფროსებს, განსაკუთრებით კი თქვენს პიონერხელმძღვანელებს, რადგან ისინი მთელი დღის განმავლობაში თქვენთან არიან, თქვენს პიონერულ ცხოვრებას ხელმძღვანელობენ.

სახლში? სახლში როგორღა უნდა მოვიქცეთ?—ალბათ, ამასაც მკითხავთ. ძალიან კარგი. მოდით, ამაზედაც ვისაუბროთ.

ყველა დედა ემზადება 8 მარტისათვის: მათ წინსაფრები აუკრავთ, ბაზრიდან მოტანილ სანოვაგეს არჩევენ, წმენდენ, ფცქვნიან, ადუღებენ წყალს, უტრიალებენ გაზის ქურებს, ნავთქურებს, ზელავენ ცომს ტკბილი ნამცხვრისთვის... და რა საწყენია, როცა ამ დროს მათი შვილები ან ტელევიზორს მისხდომიან, ან ჭადრაკს თამაშობენ, ანდა ფეხი ფეხზე გადაუდვიათ და ბატონკაცურად მასლაათობენ. დედას კი ოფლი წურწურით



ჩამოსდის, რადგან ახლა იატაკს წმენდს, სუფრას აწყობს, სტუმრების შესახვედრად ემზადება. იღება კარი, მოდიან დედას მეგობრები, სიცილით ულოცავენ ერთმანეთს ამ მშვენიერ დღეს. დედა კი დაღლილია, იგი ძლივს პასუხობს მეგობრებს და ახლა დასვენების მეტი არა უნდა რა.

ჩემო პატარა მეგობრებო, განა არ სჯობს, რომ სწორედ ამ დღეს გაათავისუფლოთ დედა საოჯახო საქმისაგან, სწორედ ამ დღეს თქვენ მოამზადოთ ოჯახი პატარა ზეიმისათვის. ეს უნდა ითავონ როგორც გოგონებმა, ისე ბიჭებმაც.

აი, როგორ იზეიმეს ერთ ჩემს ნაცნობ მრავალშვილიან ოჯახში 8 მარტი:

ბავშვები წინადღესვე დატრიალდნენ. უფროსმა გოგონამ სამზარეულოში დაიწყო ტრიალი. იგი დედის ხელმძღვანელობით ამზადებდა კერძებს. მას უხაროდა, რომ მეოჯახეობის კაბინეტში მიღებული ცოდნა სწორედ ამ დღისთვის გამოიყენა. ბიჭებმა წყალი გააცხელეს და იატაკი მოხეხეს. პატარა გოგონამ თავისი ხელით გახარებული წითელი ქოთნის ყვავილი ჩამოდგა რაფაზე, როდესაც მამა სამსახურიდან დაბრუნდა, ძალიან გაიხარა. მან დედას საჩუქრად მეოჯახეობის წიგნი მოუტანა, თავის ორ გოგონას კი — ტკბილეული და ფერადი ღია ბარათების დასტები.

მერე, დედის ჩუმათ ყველანი შეიკრიბნენ და ჩურჩული დაიწყეს. გათენდა 8 მარტი. დილიდანვე ააწკრიალა ფოსტალიონმა ზარი და დედას მთელი ოჯახის სახელით მისალოცი დეპეშა გადასცა. დედამ ბევრი იცინა და ძალიან გაიხარა, მაგრამ ყველაზე მეტად ოჯახი 8 მარტისადმი მიძღვნილმა ექსკურსიამ გაახარა. ეს აზრი პირველად ბავშვებს გაუჩნდათ და მამასაც გაუზიარეს. მამას მეტად მოეწონა. და აი, დედა, სრულიად მოულოდნელად, ქალაქგარეთ გაიყვანეს. რა კარგი იყო ის დღე მცხეთაში... სუფთა ჰაერი, ახლად ამოწვერილი ბალახი. ჩვენი არქიტექტურის სიამაყის — სვეტიცხოვლის გოლიათური მხრები. მამამ ბინოკლით დაანახა დედას ჩრდილოეთის ფასადზე ამოკვეთილი ხუროთმოძღვრის ხელი. მერე გოგონებმა ფურუსულები და ენძელები დაკრიფეს...

საღამოს, გაზაფხულის მზით სახეალანძულები გამოჰყვნენ ავტობუსს თბილისისაკენ. მთელი ავტობუსი აახმიანეს ბავშვებმა. მგზავრებმა გაიგეს, რომ ეს ექსკურსია ოჯახმა დედის პატივსაცემად მოაწყო და ხალისიანად ჩაებნენ საუბარში.

დაღამდა. თბილისმა ლამპიონები აანთო... მოქანცული, მაგრამ ბედნიერი ოჯახი სახლისაკენ გაუყვა გზას.

აი, როგორ იზეიმეს 8 მარტი ერთ ოჯახში თქვენმა ტოლებმა!

ნაზი კილასონია

დავით კვიცარიძე

ჟუკა

(პარტიზანის მოგონება)

ნახ. **დ. ხახუტაშვილისა**

ბანაკში ღამით შემოიპარა. ცხვირწინ ჩაუარა თედორე კომლიოვს.

თედორე ხევის პირზე იდგა ყარაულად.

ჩვენს პარტიზანულ რაზმში ყველაზე უხნესი თედორე კომლიოვია. საბრძოლო ოპერაციებზე მეთაურს იგი არ მიჰყავს და ამიტომ მუდამ ბუზღუნებს, მოღუშულია და უკმაყოფილო.

წუხელ აიჩემა, პატარა ბავშვივით აიჩემა, ყარაულად მაინც დამაყენეთო და აი, შემოეპარა ვიღაც...

იქნებ ჩასთვლიმა, იქნებ ჩაეძინა თედორეს!

დილით ათჯერ დაიფიცა: თვალი არ მომიხუჭავს და არც მუხლი მომიხრიაო.

მეთაურმა დატუქსა.

— საგუშაგოზე ძილისთვის დაგსჯიდი, ამხანაგო კომლიოვ, მაგრამ ამ ერთხელ შენს მოხუცებულობას ვაპატიებ, მეორედ კი...

დგას ტანდაბალი, სიბერისაგან დაჩიავებული მოხუცი, რაზმის მეთაურის წინ. მარჯვენა ფეხის ტერფთან მიუდგამს თოფი. დაჟანგული ხიშტი თავს ასცილებია. ხამის ხალათზე თოკი შემოუკრავს ქამრად, ზედ სავაზნე და ხელყუმბარა დაუკიდნია. აბურძგვნია წვერ-ულვაში, თავზე ყურებიანი ქუდი ახურავს. დგას და აფახულებს ჩინდალეულ თვალებს.

— გასაგებია?—მკაცრობს მეთაური.

მე და რაზმის კომისარი ცოტა მოშორებით, ნაძვის ძირში ვდგავართ. ვუცქერით ამ სურათს და გვეცინება.

— მე, მე... მე არ მძინებია, ვანია!

— გეძინა! ეს ერთი! მეორეც ის, რომ მე რაზმის მეთაური ვარ და არა ვანია... ესეც დაიხსომე! ბანაკში უცხო პირი შემოგპარვია, დაგსჯი!

— ვინ შემომეპარა?—ხმა აუკანკალდა მოხუცს.

— უცხო პირი! ახლა წადი და იძინე მთელი კვირა. აწი ყარაულად აღარ დაგაყენებენ!

თედორე ადგილიდან არ იძვრის.

— წადით, ამხანაგო კომლიოვ!

თედორე გაუბედავად დგამს ნაბიჯს მეთაურისაკენ და ვედრების კილოთი ეუბნება:

— ვინ შემომეპარა?

— მაგას მერე გაიგებ!

ფეხათრეული მიდის მოხუცი, მასავით ბებერ ნაძვის ძირას ჯდება და ფიქრობს.

მეთაური მოგვიახლოვდა.

— მოჰკალი კაცი და ესაა,—ეუბნება კომისარი ივანე შერშევიცკის.

— მგონი მეტი მომივიდა, მაგრამ ასე სჯობს, მეორედ აღარ აიჩემებს ყარაულად დამაყენეთო,—ეღიმება ვანიას.

სამივემ კომლიოვისკენ გავიხედეთ. იგი წამოდგა და ხშირ ნაძვნარში ჩადგმულ პარტიზანთა კარვებისაკენ წაბაჩუნდა. ალბათ, უნდა პარტიზანებისგან მაინც გაიგოს, ვინ შემოეპარა წუხელ, ვინ შეარცხვინა ძველი მებრძოლი.

ერთ-ერთი კარვის ახლოს შურკა შორეცს პარტიზანები შემოხვევიან. ბიჭი სიცილით ჰყვება:

— გუშინ მთელი დღე ვიბორიალე ტყეში. თქვენ გეძებდით. გზატკეცილის მეორე მხარეზე მეგონეთ. ბოგუშევსკამდე ჩავედი. მერე ამ მხარეზე გამოვყევი ტყეს. გეძებეთ და გეძებეთ... საღამო ხანს დავდექი კვალზე. სიმართლე გითხრათ, არც ასე ძნელია თქვენი მონახვა... ეს რა შენიღბვაა, ყველაფერი მოჩანს... პირდაპირ მოსვლა მაინც ვერ გავბედე.

შავ თვალებს ეშმაკურად აციცებს შურკა. ზის უზარმაზარ მორზე. მუხლამდე შემოხევია შარვლის ტოტი. ფეხშიშველას წვივები დაკაწრული აქვს და სისხლის წვეთები შეხმობია აქა-იქ.

— დაღამებას დაველოდე!—განაგრძობს ბიჭი,—მივწექი ხის ძირას და ვფიქრობ: ერთი ვნახოთ, როგორ იცა-

— ااا! რას შვრები?!—აყვირდა შურკა.

ვენ თავს ეს ჩვენი პარტიზანები, შევიპარები ბანაკში თუ არა-მეთქი! წამძინებია. ალბათ, დიდხანს ვხვრინავდი. სიცივემ გამომაღვიძა. წამოვხტი—ბნელა. მე არ მეშინია ტყისა და სიბნელის... თვალში ხელი ამოვისვი და გავყევი ხევის პირს. ბანაკს რომ მოვუახლოვდი, დავწექი და გამოვხოხდი. თავი ავწიე, დაკუკვირდი. ახლო მოვსულვარ ბანაკთან. ხუთიოდე ნაბიჯზე დგას თქვენი ყარაული. შარშანწინ საახალწლოდ თოვლის ბაბუა დაგვიდგეს სკოლაში, სწორედ ისეთი, როგორიც თქვენი ყარაულია, მაგრამ თოვლის ბაბუა გაცილებით უფრო ლამაზი იყო, ეს კი დგას, როგორც საფრთხობელა. ამთქნარებს, ეტყობა, ეძინება,—იცინის შურკა.

— მე ბალახებში გავიტრუნე და ვაცალე. ჩამოჯდა, თუთუნი შეახვია, ფრთხილად მოუკიდა ცეცხლი, გააბოლა და ისევ დაამთქნარა. აჰა, ბებერო,—ვამბობ ჩემთვის,—კიდევ ათიოდე წუთი და დახუჭავ თვალებს! აგიხდათ ყოველი კარგი! პაპიროსი ჩააქრო და გადააგდო. თავი ნაძვის მსხვილ ფესვს მიადო. ხე, ხე, ხე, ნახა რაღა თაესასთუმალი!—იცინის ბიჭი, იცინიან პარტიზანებიც და ვერ ამჩნევენ თედორე კომლიოვს, რომელიც იქვე ხის უკან ჩასაფრებულა და ისმენს.

— ასე დავყავი ცოტა ხანს. მეგონა ჩაეძინა და გავიწიე, მაგრამ, შენც არ მომიკვდე... თავი წამოსწია და მიიხედ-მოიხედა. აჰა,—ვფიქრობ,—არ გეძინა? კარგი, ბაბუა, მაგაზე გაწყენინებ? მოგეშველები, და დავიწყე სტვენა. მე შემიძლია ყოველგვარ ჩიტს მივბაძო. აი, მისმინეთ...

შურკამ დაუსტვინა. არა, ეს არ ჰგავდა სტვენას. ეს იყო ჭიკჭიკი. რომელიღაც ჩიტის საამო ჭიკჭიკი.

— გასჭრა ჩემმა იავნანამ. მალე თქვენი ყარაულის ხვრინვა მომესმა. წამოვდექი, ფრთხილად მივუახლოვდი. მინდოდა თოფი ამერთმია და თქვენთვის მომეტანა, მაგრამ ბაბუას თოფი მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული და შემეშინდა. იძინე, ბაბუა, იძინე, გაამოს!—გავიფიქრე და წავედი არხეინად.

— შტაბის კარავთან დამაკავეს. შტაბის უფროსი მართლა ქართველია?

— ქართველია!

— კისერში მწვდა და კარავში შემათრია.

— აბა რა გეგონა შენ?—ამბობს ვიღაც.

— მეთაურიც ახალგაზრდა ყოფილა. მე კი მეგონა თქვენი ყარაულივით ბებრები იყავით ყველა,—იცინის ბიჭი,—მაგრამ... ამ დროს თედორე წამოეპარა და ყურში სწვდა.

— ااا! რას შვრები?!—აყვირდა შურკა.

— შე ძაღლის ლეკვო, შენ მომჭერი თავი, შენ დამასხი თავს ლაფი?

— გამიშვი, ბაბუა. ორი ყურის მეტი კი არა მაქვს, ორივე მჭირდება.

— დაგახევ!

— გამიშვი და მადლობა მითხარი, თოფიც რომ არ მოგპარე.

მოხუცმა ხელი გაუშვა. აწითლებულ ყურზე ხელი მოისვა შურკამ. მტრულად შეხედა კომლიოვს. შავ, ცინცხალ თვალებში ნაპერწკალი გაჩენოდა, ახითხითდა:

— ჩიტები ძალიან გყვარებია... შევრიგდეთ, ბაბუა! შევრიგდეთ და სულ მოგასმენინებ ჭიკჭიკს. აი, ასე: და კვლავ აჭიკჭიკდა.

— მოგწონს? მოიტა ხელი. მე და შენ აწი ერთი უფლებით ვართ. მეც ჩამრიცხეს რაზმში. დიახ! უკვე პარტიზანი ვარ.

— ღლაპი!—ჩაიბუზღუნა თედორემ, ბიჭის გამოწვდილ ხელს ზურგი შეაქცია და წავიდა. შურკამ თვალი გააყოლა. უნდოდა დაწეოდა, მაგრამ შეაჩერეს.

— ახლა მოეშვი, გაბრაზებულია. სხვა დროს შერიგ-

რაზმის ყველაზე უხნესი და ყველაზე უმცროსი წევრები ჩაიზე მივიპატიჟეთ.



„ბაბუა და შვილიშვილი“ ფართო შარას დაადგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით,—ეუბნება შურკას ლიზუნოვი, მერე მხარზე ხელს ხვევს და თავის კარვისკენ მიჰყავს.

იცის თავისი საქმე რაზმის პირველმა მზვერავმა...

* * *

თედორე და შურკა მალე დამეგობრდნენ. კარგა ხანს არავითარი დავალება არ მიუციათ მოხუცისათვის. თედორე ყველაზე და ყველაფერზე გულაყრილი იყო. იჯდა თავის კარავში და აბოლებდა მყრალ თუთუნს.

შეუჩნდა შურკა. მიუჯდებოდა კომლიოვის კარავს და ჭიკჭიკებდა.

შერიგება კი უცნაურად მოხდა.

ერთ საღამოს მეთაურმა ორივე ერთად მოიხმო. კარავში ჯერ მოხუცი შემოვიდა, მერე ბიჭი.

რაზმის ყველაზე უხნესი და ყველაზე უმცროსი წევრები ჩაიზე მივიპატიჟეთ. კომისარმა თავის ხელუხლებ მარაგიდან თითო კვნიტი შაქარი ჩამოგვირიგა. მოხუცი თვალს ვერ უსწორებდა მეთაურს. იჯდა, მონდომებით უბერავდა სულს ადუღებულ წყალს და ხვრეპდა.

მე ვუცქერდი კომლიოვს და ვგრძნობდი მის გულისტკივილს.

— აბა, ახლა საქმეზე ვილაპარაკოთ!—წამოიწყო მეთაურმა, როცა ჩაის სმას მოვრჩით.

შურკამ ყური ცქვიტა.

— შაბათს ჩვენი რაზმი შეუტევს ბოგუშევსკის გარნიზონს; თქვენ უნდა შეაღწიოთ ბოგუშევსკში და ინახულოთ იქ ჩვენი კაცი, ამხანაგი კადო.

— რა უნდა გადავცეთ?

— გადასაცემი არაფერია. ზეპირად უნდა დაისწავლოთ, რასაც შტაბის უფროსი გეტყვით.

შურკამ ეჭვის თვალით შეათვალიერა კომლიოვი. გულში ფიქრობდა: ეგ რა ბარგი ამკიდეთ, სჯობია მარტო წავიდეო. თავის მხრივ თედორეც ამასვე ფიქრობდა, ალბათ.

— ამას გარდა,—განაგრძო მეთაურმა,—ერთ-ერთ თქვენგანს რაიონში დარჩენა, თოფ-იარაღის საწყობის მოძებნა და იქვე ჩასაფრება მოუხდება. ბოგუშევსკში რაზმის შემოჭრისას უნდა შეძლოთ ნიშნის მოცემა.

დავალება რთული და სარისკო იყო, მაგრამ შურკამ და თედორემ სიამოვნებით მიიღეს იგი.

მოგვიანებით, კომლიოვის კარავში დიდხანს ვესაუბრე ახალ მზვერავებს. შევთანხმდით.

ეს ღამე ერთად გაატარეს შურკამ და თედორემ. მსჯელობდნენ ყოველ წვრილმანზე, აზუსტებდნენ მარშრუტს, ითვალისწინებდნენ მოსალოდნელ დაბრკოლებებს.

მოხუცი თანდათან მოლბა, გვერდშიაც კი მოიწვინა ბიჭი და მანამ უამბობდა შორეულ ამბებს, ვიდრე შურკას არ ჩაეძინა.

... გათენებისას გაუდგნენ გზას. წინ შურკა მიაბიჯებს ამაყად და გაბედულად. უკან თედორე მიბაჩუნობს.

მიდის ბიჭი, მიჭიკჭიკობს ჩიტივით. უხარია გათენება და სულაც არ ადარდებს გზა, ძნელი გზა, თითქმის უკან მოუბრუნებელი გზა.

მიდის, ხან სტვენს, ხან მღერის. ჩიტები არ ფრთხებიან მის ხმაზე. გაჩაჩხულ ტოტებზე სხედან და უკვირთ, უკვირთ, რადგან დიდი ხანია არ სმენიათ კაცის სიმღერა...

— ბაბუა!—მოხედა თედორეს შურკამ.

თედორემ ფეხს აუჩქარა, წამოეწია.

— გზაზე გავდივართ, მოდი ერთი რეპეტიციაც გავიაროთ და მერე...

თედორე დამორჩილდა. მარცხენა ხელი ბიჭს გაუწოდა, თვალები საცოდავად გადმოკარკლა და საწყალობელი ხმით დაიწყო:

— შემეწიეთ ბრმას; ერთი ლუკმა პური, ერთი ლუკმა...

— ბაბუა მიკვდება, უსინათლო ბაბუა, გვშია, შეგვეწიეთ...—აჰყვა შურკა და გულიანად გაიცინა.

— ყოჩაღ, ბაბულია, შენგან კარგი არტისტი გამოვა. გავდევნოთ ეს ოხერი ფაშისტები და მერე ერთად ვითამაშოთ სცენაზე.

— ნუ ხუმრობ, შურკა!

გზის პირას ნაძვს მოეფარნენ. გზატკეცილზე გამუდმებით მოძრაობდნენ ავტოკოლონები. ელოდნენ მანამ, სანამ მანქანები ჩაივლიდნენ. ეშველათ, როგორც იქნა, და „ბაბუა და შვილიშვილი“ გზაზე შეუმჩნევლად გამოვიდნენ.

ფართო შარას დაადგნენ.

შორს სატვირთო მანქანა გამოჩნდა.

თედორემ გზისპირისაკენ გაიწია.

— ფეხი არ მოიცვალო, მომყევი!—შეუძახა ბიჭმა და თავის წკრიალა ხმით დაიყვირა:

— შეგვეწიეთ, უსინათლო ბაბუა მიკვდება!

მისალმებისთანავე მოეწონა შურკას კადო.

„ამოვცხადდი თქვენ-ბრძანებით, ამხანაგო ...ოაზმის მეთაურო!

მანქანა მოხუცის ფეხებთან დამუხრუჭდა.

— ეი, რუსო, გადაეთრიე გზიდან! — იღრიალა ვიღაცამ დამტვრეული რუსულით.

შურკა შემობრუნდა, მაგრამ მანქანას გზა არ მისცა.

— შეგვეწიეთ, უსინათლო ბაბუა მიკვდება!

— სად მიეთრევით?

— მიჩკაში, სოფელ მიჩკაში! — უცებ მოისაზრა ბიჭმა.

— ამოეთრიეთ!

შურკა სხარტად შეახტა მანქანას. როგორც იყო თედორეც აათრია ძარაზე. მოხუცი იქვე ჩაჯდა და ჩუმათ ცალი თვალი გაახილა. გაახილა და იმ წამსვე უჩქმიტა ბიჭმა.

— მიჩკაში რა გინდათ? — იკითხა ისევ ახმახმა.

— იქ ჩემი და ცხოვრობს, იქნებ საჭმელი ექნეს...

პირდაპირ უტეხად უცქერდა თვალებში ფაშისტს.

ახმახი ერთ ხანს გამომცდელად დააკვირდა ბიჭს, მერე ჩანთა გახსნა, პურის ნატეხი ამოიღო და შურკას გაუწოდა.

შურკამ პურის ნატეხი შუაზე გაჭყო და ნახევარი ბაბუას მისცა.

ორივენი მადიანად ილუკმებოდნენ.

გერმანელები გამყივანი ხმით მღეროდნენ. მალე ყველას მიავიწყდა მათი არსებობა.

მიჩკას მიუახლოვდნენ. ამ სოფლიდან ბოგუშევსკამდე მხოლოდ ორი კილომეტრია. მიჩკიდან როგორმე შეაღწევდნენ რაიონში.

შურკამ მაინც თავი მოიმძინარა და მხოლოდ მაშინ გაახილა თვალი, როცა მანქანა ბოგუშევსკში შედიოდა.

— ვაი, სად მოვსულვართ! — გაიკვირვა მან.

— მიჩკი, მიჩკი! სულ ერთია სადაც იმათხოვრებთ, აბა, მოუსვით!

შურკა ჩამოხტა და თედორეც ჩამოათრია.

ხელი დაუქნია გერმანელს, გაუღიმა კიდეც.

მანქანა გაშორდათ.

ისევ წინ წავიდა ბიჭი; ცალი ხელით თედორეს ეჭაჭება, მეორე გაწვდილი აქვს და ყვირის:

— შეგვეწიეთ, ბაბუა მიკვდება, უსინათლო ბაბუა...

ხანდახან თედორეს მიხედავდა. მოხუცს ხშირად ავიწყდებოდა თავისი „უსინათლობა“ და თვალს ახელდა.

— რას შვრები, ბაბუა, დახუჭე თვალი!

მოხუცი უმალ ხუჭავდა თვალს და გაბმულად ყვიროდა:

— შეგვეწიეთ ბრმას, გაჭირვებულს...

იმ იატაკქვეშელის ბინას, ვისთანაც დავალებით უნდა მისულიყვნენ, ოთხჯერ ჩაუარეს, მაგრამ მხოლოდ ბოლო ჩაელისას შენიშნა ისინი კადომ.

ღამდებოდა.

ოთახში პატარა სანთელი აინთო და ჩაქრა. ფანჯარას წვერმოშვებული კაცი მოადგა და შურკას თვალი ჩაუკრა.

— შეგვეწიეთ, ბრმა ბაბუა მიკვდება! — უფრო ხმამაღლა შესძახა ბიჭმა.

ისევ აინთო სანთელი და ისევ ჩაქრა. პაროლი გადაცემული იყო.

კადო მზვერავებს მოელოდა, მაგრამ დაღამებამდე მაინც ვერ გაბედეს შესვლა.

ქუჩის ბოლოს ქვაზე ჩამოსხდნენ. შურკა ბოგუშევსკელია, ხუთი თითივით იცნობს აქაურობას.

— აქ დამიცადე, ბაბუა, ამ წუთში მოვალ! — შურკა გაიქცა, მოხუცმა თვალი გააყოლა და ბიჭს მიჰყვა.

ჯერ კიდევ არ ბნელოდა.

დაბალი ღობიდან თედორემ ასეთი სურათი დაინახა: ოდნავ ამობურცულ სამარეს დამხობოდა ბიჭი და გულამოსკვნით ტიროდა.

მოხუცი მიუახლოვდა, ხელი მოხვია.

ბიჭმა თავი მიაბრუნა და თედორეს ბებერ მკერდში ჩაეკრა.

— აქ ჩემი დედ-მამა მარხია, ბაბუა...

ტიროდა თედორე. ტიროდნენ ორივენი.

ბიჭი გამოერკვა.

— წავიდეთ, ბაბუა.

კომლიოვი წამოდგა. სამარეს პირჯვარი გადასახა და ეზოდან გასულ შურკას წამოეწია.

ოდნავ მოხრილიყო შურკა მხრებში, ახლა ამაყად აღარ მიაბიჯებდა მოხუცის წინ.

— შეგვეწიეთ, უსინათლო ბაბუა მიკვდება, შეგვეწიეთ!

ისევ აინთო სანთელი იმ ბინაში და ისევ ჩაქრა.

გვერდის კარები გაიღო. შურკა და თედორე სახლში შევიდნენ. მისალმებისთანავე მოეწონა შურკას კადო. მის ხმაში ნებისყოფა იგრძნობოდა. მოცოცხლდა ბიჭი.

— რომელი დარჩებით? — იკითხა ბოლოს კადომ.

— მე! — ბავშვური მოუთმენლობით წამოიძახა შურკამ. ერთ ხანს სდუმდნენ.

კადომ იცოდა, რომ დარჩენა სიკვდილს თუ არ უდრიდა, ყოველ შემთხვევაში, დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, და დაეწანა ბიჭი.

— შვილო, შურკა! კარგად დამიგდე ყური, ბაბუა. მე ოთხმოცს აღარაფერი მიკლია. ეს წუთისოფელი მოეჭამე. რა ვქნა, სიბერეში გამიმწარდა სიცოცხლე, აღარაფერი მახარებს და, თუ მაინც ვცოცხლობ, ვცოცხლობ მხოლოდ იმისთვის, რომ ერთ დღეს მოვესწრო... შენ მთელი სიცოცხლე წინ გიდევს, შენი დედ-მამის სახელზე უნდა იცოცხლო. წადი რაზმში. შენ უფრო მალე მიხვალ. მე აქ ყველაფერს გავაკეთებ. გჯეროდეთ, არ გიმტყუნებთ თედორე კომლიოვი. როგორც კი წითელი მაშხალა ავარდება ჰაერში, იმწამსვე მწვანე მაშხალით მოგცემთ ნიშანს და თქვენც იქ დაჰკარით, თუ საჭირო იყოს... დამკარით!..

შურკა იჯდა ენაჩავარდნილი. მისი პატარა თითები თედორეს ეჭირა ხელში და უხეშად ეალერსებოდა.

— შენ უნდა წახვიდე, შურკა! — თქვა კადომ. — ახლა ცოტა დანაყრდი და გასწი, დანარჩენი ჩვენზე იყოს.

ბიჭს ჭიქა რძე და სამიოდე კარტოფილი გამოუტანეს. რძე შესვა, კარტოფილი კი ჯიბეში ჩაიწყო და ოთახიდან გამოსვლის წინ თედორეს ჩაეხვია.

— შაბათს ღამით, თორმეტისათვის! დაიხსომე, შურკა!

— არის, თორმეტისათვის! — ძლივს ამოთქვა ბიჭმა და ცრემლიანი თვალები თედორეს ხამის პერანგს შეახოცა.

* * *

ბანაკში დილით გამოცხადდა შურკა. პირდაპირ შტაბის კარავს მიადგა.

თენდებოდა.

აჭიკჭიკდა ბიჭი. კარავიდან გამოვედი.

— ოჰ, შურკა! ასე მალე?!

— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო შტაბის უფროსო!

— აქ მოიყვანე ეგ ეშმაკის ფეხი. — მოისმა კარავიდან მეთაურის ხმა, რომელიც სულ ერთი საათის მობრუნებული იყო საბრძოლო ოპერაციიდან.

შურკამ დაწვრილებით გვიამბო მგზავრობის ამბავი. ვიცინეთ, კარავიდან გამოსვლის წინ მეთაური მიხვდა, რომ ბიჭს რაღაც აწუხებდა.

— გინდოდა რაიმე?

— ამხანაგო მეთაურო! ამ დილით ისევ იმ ხერხით შემოვიპარე ბანაკში, ისევ ცხვირწინ ჩავუარე ყარაულს. არ ეძინა, მაგრამ მაინც გამოვეპარე... — ეს თქვა და კარავიდან გავიდა.

— ჩინებული ბიჭია. — წარმოსთქვა მეთაურმა.

* * *

შაბათ საღამოს ბოგუშევსკის მისადგომებთან ტყის პირას განლაგდა რაზმი.

შურკა ნერვიულობდა.

რაზმი ორად გაიყო. ერთ ნაწილს კადო წაუძღვა მეთაურთან ერთად, მეორეს — მე. შურკა არ მშორდებოდა. ყარაულები კადოს კაცებს უხმაუროდ დაეხოცათ. გზა თავისუფალი იყო, მაგრამ უნდა ავჩქარებულიყავით, რადგან შეიძლებოდა ფაშისტებს დახოცილი ყარაულები უფრო ადრე ენახათ, ვიდრე ეს კადოს ჰქონდა განსაზღვრული, და მაშინ ძვირად დაჯდებოდა ეს საღამო...

ჯერჯერობით წინ მივიწევდით დაუბრკოლებლივ.

აი, ბოგუშევსკიც.

რაზმის იმ ნაწილს, რომელსაც მეთაური და კადო მიუღლოდნენ, საკომენდატოსთვის უნდა დაერტყა. მე თოფ-იარაღის უზარმაზარი საწყობი უნდა ამეფეთქებინა — ის საწყობი, რომელიც ფაშისტების პოლკებს ამარაგებდა. საწყობის ადგილსამყოფელი დაახლოებით დადგენილი იყო, მაგრამ მწვანე მაშხალის გარეშე, რომელიც ბაბუა თედორეს საწყობის მახლობლად ცაში უნდა შეესროლა და მერე იქაურობას სასწრაფოდ გასცლოდა, ასე ადვილად ვერ მივუდგებოდით.

ზუსტად თორმეტზე წითელი მაშხალა გავისროლე. შურკამ თვალი გააყოლა მაშხალას — ბიჭი გაფითრებულიყო.

— ნეტავ სად არის ბაბუა თედორე? — აღმოხდა მას.

იმავე წამს, ახლოს, ძალიან ახლოს ცაში მწვანე მაშხალა ავარდა.

ატყდა სროლა. აგრუხუნდნენ ნაღმსატყორცნები. აკაკანდნენ ტყვიამფრქვეველები და ავტომატები. სადღაც მოშორებით გასკდა ყუმბარა. უფრო შორს — ავარდა ალი.

ეს მეთაური უტევს საკომენდანტოს.

ისმის ყვირილი, ღრიანცელი.

— წინ, წინ!

აჰა, საწყობიც!

მიშა ლოზუნოვს რამდენიმე ხელყუმბარა ერთად შეეკრა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისროლა.

საშინელმა გრგვინვამ ერთბაშად შთანთქა ყველაფერი.

ჰაერში რაღაც საგნები დაფრინავდნენ, დროდადრო ისმოდა აფეთქების ხმები. მერე კვამლშერეული ცეცხლის უზარმაზარი სვეტი აღიმართა ცისკენ.

როგორც იქნა, ინათა.

იმ ადგილას, სადაც საწყობი იდგა, პირველად შურკა შორეცმა მიირბინა.

ყველაფერი დამწვარიყო. ხის ძელები ხრჩოლავდნენ მხოლოდ. იდგა სიჩუმე და ამ სიჩუმეში დროგამოშვებით ისმოდა ბავშვის წკრიალა, სასოწარკვეთილი ძახილი:

— ბაბუა თედორე! ბაბუა თედორე!

დამწვარ ძელებზე გადადიოდა, არ ერიდებოდა ცეცხლს, ხელებს აფათურებდა ღადარში.

თედორე კომლიოვი კი იწვა გულხელდაკრეფილი და წვერულვაშშერეჯული.

იწვა ისე, თითქოს საგანგებოდ გაეწყოთ მიცვალებული. თვალები დაეხუჭა ისე, როგორც ორი დღის უკან მიჰყვებოდა შურკა ბიჭს. მკერდზე არ დამხობია შურკა კომლიოვს. იდგა მის წინ თავდახრილი და გაფითრებული.



ზაფხული „პიონერთა კესპუბლიკაში“



ჩემს სიბარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყვე, რომ მიგემგზავრებოდი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვილჰემ პიკის სახელობის საერთაშორისო პიონერთა ბანაკში, სადაც პიონერთა მსოფლიო ფესტივალი ტარდებოდა.

11 ივლისს მე და თბილისელი პიონერი ვალერი ყელაშვილი თვითმფრინავ „ტუ-104“-ით მოსკოვს გავფრინდით, სადაც მოსკოველ, კიეველ, ტაშკენტელ, სტალინელ და გომელელ პიონერებს შეეფეთნდით.

დაახ, მატარებელი „მოსკოვი-ვარშავა-ბერლინი“ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკისაკენ მიგვაქროლებს. გადავლახეთ საზღვარი, მდინარე ვისლა, რომელიც საბჭოთა კავშირის და პოლონეთის ტერიტორიას ყოფს.

15 ივლისს, დღეით, უკვე ვარშავაში ვიყავით. სადგურზე დავგვფრენ ვარშავის პიონერთა ორგანიზაციის წარმომადგენლები. პოლონელმა მეგობრებმა გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს და საჩუქრებიც გადმოგვცეს.

ბერლინში 16 ივლისს, ღამის 12 საათზე ჩავედით. შუაღამის მიუხედავად, რკინიგზის ცენტრალურ სადგურზე გერმანელი და უზბეკელი პიონერები შეგვეგებნენ. მათთან ერთად ავტობუსებით გავეგზავნენ ბანაკამდე, რომელსაც „პიონერთა რესპუბლიკას“ უწოდებენ.

ეს „რესპუბლიკა“ ბერლინიდან 3 კილომეტრიითაა დაშორებული და გამშვებლიკი ვერმელინის ტბის ნაპირზე, თვალწარმტაც ადგილის. იქ 38 სახელმწიფოს ბავშვები ეისვენებდნენი. ყოველ სახელმწიფოს ცალკე კორპუსი ჰქონდა გამოყოფილი. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ტბაში ბანაობა. იქვე იყო შესანიშნავი ტყე, სადაც ვერთობოდით, ერთმანეთს ვისწავლიდით ხალხურ თამაშებს. საერთოდ მთელი ბანაკი ხეებში იყო ჩაფენული. გვქონდა „მწვანე თეატრი“, სადაც კონცერტებს ვმართავდით.

ჩვენი ბანაკის ცხოვრება მიდიოდა შემდეგნაირად: ტარდებოდა სხვადასხვაგვარი დღეისაწყოლები და შეხვედრები.

მეტად საინტერესოდ ჩატარდა „გოგონების დღე“. იგი მხიარულად დაიწყო: დღეით ბიჭებმა გოგონებს ყვავილები მოგვპრიფეს. სასადილოში მხოლოდ ვიღებდ მორიგეობდნენ. უკრავდა ორკესტრი. შემდეგ კი ატრაქციონი გავეგზავნეთ ქალაქ ოდენსტრაში. იქ ვნახეთ ყოფილი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკი, რომელის კედლებშიაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 132 ათასი ქალი ატანჯულიყო. ეს იყო საშინელება!

დიდი ინტერესით დავთვალიერეთ ბერლინი. ძალიან მოგვწონდა მისი ფართო ეუნები და ბოდენები. ლამაზია ბრანდენბურგის ჭიშკარი, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. ერთი ნაწილი ეკუთვნის დასავლეთ გერმანიის, ხოლო მეორე ნაწილი — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ბევრი რამაა ლამაზი ბერლინში, მაგრამ ყველაზე მეტად მოგვეხიბლა სტალინის სახელობის ხიბლანაბა, რომელის სიგრძე 7 კილომეტრია.

ათასობით საბჭოთა მეგობარი დაიღუპა გამარჯვების დღეს ბერლინში. ენახეთ მათი ძეგლები. ეეწვეთენ ავტოფეხ ტანსაინის სახელობის ქარხანას, მოგზაურეთ ტროლეიბუსით ქალაქ დრეზდენში. დავთვალიერეთ შესანიშნავი სასახლე, სადაც ახლა გალერეა არის. დრეზდენის გალერეაში არის მეზეიები, რომელსაც უწოდებენ „მწვანე სარდაფს“. ეინიდან ამ დარბაზის დათვალიერებისათვის ფიდი ფერი იყო საჭირო, ჩვენ დავთვალიერეთ მხოლოდ ერთი განყოფილება, რომელიც ცნობილია მისი მატერიობით.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი დრეზდენი ძალიან დანგრეულია, დიდი შობამეტდილება მოიახდინა ჩემზე ბისმა ძველმა ნაგებობებმა. არის ბევრი ახალი შესანიშნავი შენობებიც.

ბევრი, ძალიან ბევრი შეიძლება გიამბოთ ჩვენი ბანაკის შესახებ და იქ გატარებულ დღეებზე.

25 ივლისს დავთვალიერეთ ქარხანა „ზაეი ტუმბო“, სადაც ქეანახშირის წარმოებაა. სასადილო დარბაზში გავმართეთ კონცერტი. კონცერტის შემდეგ ერთმა ბანაკში შესულმა მუშამ მოგვმართა:

„ამ დარბაზში ყოველდღე 16 ათასი მუშა სადილობს, მაგრამ სადილი დღეეანდღეღეეთ გემრიელი არასოდეს არ ყოფილა. გმადლობთ თქვენი შესანიშნავი სიმღერებისა და ცეკვებისათვის. გადაეცით თქვენს მშობლებს, რომ ჩვენი ქარხნის მუშები ყველაფერს გავაკეთებთ მშვიდობის შესანარჩუნებლადაც“.

ბანაკში ტარდებოდა შეხვედრები. შეხვედრა თითქმის ყველა სახელმწიფოს ბავშვებს მოეწყეთ, ეინც კი იქ იმყოფებოდა. შეხვედრები ძალიან საინტერესოდ ტარდებოდა. ეეცნობოდით ბავშეებს, მათ პიონერიულ ცხოვრებს. ჩვენც ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს, ვატარებდით კონცერტებს.

ბანაკის გახსნისას და დახურვისას ჩატარდა დიდი პარადი, შემდეგ ავანთეთ კოცონი, რომელსაც „მეგობრობის კოცონი“ ეეწოდეთ. ჩატარდა კონკურსი სპორტში და მატერიულ თვითმოქმედებაში. საბჭოთა პიონერებმა ორივე კონკურსში პირველი ადგილი დაიკავეეთ.

ბანაკის დახურვისას გაიმართა დასკვნითი კონცერტი, სადაც ყველა სახელმწიფოს ბავშვები ეიღებდნეთ მონაწილეობას. საბჭოთა კავშირის პიონერებმა ორი ნომერი შეეასრულეთ: ცეკვა „ეარიული“ და ერთი რუსული სიმღერა.

დასკვნითის კონცერტზე საბჭოთა კავშირის პიონერებმა პირველი ადგილი დაეიკავეეთ და ოქროს მედალი დაემისახურეთ.

დაუფიწყარია გერმანიის „პიონერთა რესპუბლიკაში“ გატარებული ზაფხული. იქ ბევრი მეგობარი შეეძინენ, რომლებთანაც ახლა მიწერ-მოწერა მაქვს.

თამარ ფლოლიძე,
თბილისის 55-ე საშ. სკოლის
VII კლ. მოსწავლე.

აკაკი

ეინაცვალე შენს მაღლარს,
სიბრძნით სავსე ჩათელ სიხეს.
შენს გაძღობასა და შენს ბანაკსა, —
ქვეყანაზე შენს რომ ფენენ.

შენს სახელსაც ეინაცვალე,
ჩვენს გულებზე ამოკაწრულს,
და მაგ ბაგეს, რომ მეტყველებს
მარგალიტად ასხმულ ქარიფულს.

ამ მამულსაც ეინაცვალე,
ვისი ძიც ხარ სასახელო,
გუცაქრი და გულში ვამბობ:
—იდეეგრძელეს ბერძენეთ!

ეიოლიდან ბაბეზარდაშვილი,
სამბრის მე-6 სკოლის ბეთოსანი მოსწავლე.



კუბა იბრძოლეს და იმარჯვებს

თავისუფლების ეპრძვის
ამერიკარების ჯარი,
ხელში ჩაიგდოს ეუნი,
მტერს, კუბის მოა და ბარი.

ბატარა ერი ებრძვის,
მაგრამ გული აქვს დიდი,
არ უნდა ჩაგვრა ოღონ,
ცხოვრება უნდა მშვიდი.

ებრძვის ამბავი კუბა,
თავისუფლებას ეიცავ,
ქვეყანად სიხარეულს მეიტანს,
ეიცავს მშობლიურ მიწას!

ეიდან ალიშეეილი,
თბილისის 36-ე სკოლის VII კლ.
მოსწავლე.

მოსწავლეთა მეოხებანი

ნ. ს. ხრუშჩოვი და ფიდელ კასტრო ყიბრის ბანაობაზეზე.

ასე უწოდებენ ზოგჯერ ამ უკანასკნელ წლებში კუბას, რომელიც ამაღე სახელწოდების კუნძულზეა მოთავსებული. ამ პატარა სახელმწიფოს ფართობი 114,5 ათასი კვადრატული კილომეტრია. მისი მოსახლეობა 6 466 ათას კაცს თვლის. დედაქალაქია ჰავანა. ტერიტორიის მეტი ნაწილი დაბლობია. ჰავა ცხელი და ნოტიოა.

კუბა აგრარული ქვეყანაა, მისი დასამუშავებელი მიწის 78 პროცენტი შაქრის ლერწამს უჭირავს. შაქრის ექსპორტში კუბას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. კუბა განთქმულია თავისი სიგარებით. აქ მოჰყავთ ბანანები, ანანასები, ციტრუსები, ყავა, ბრინჯი, სიმინდი: მისდევენ მეთევზეობას, ეტერენ ზვიეენებს, ზღვის კუს, ლრუნტებსა და სადაფის ნიჟარებს. კუბა მდიდარია რკინის, მარგანეცის, ქრომისა და სპილენძის საბადოებით: მოეპოვება ბოქსიტები, ეოლეფრამი, ნიკელი, ოქრო, ტყვია, თუთია, მარმარილო, თიხა.

ზრომისმოფარე კუბელი ხალხის მთელი ეს სიმდიდრე უცხოელი კაპიტალისტებისა და ამერიკელ იმპერიალისტების ხელში იყო უკანასკნელ წლებამდე. მაგრამ, როგორც ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, „რაც არ უნდა ბნელი იყოს ღამე, მას ყოველთვის ვანთიდი სკელის". და აი, კუბაშიც დადგა განთიადი.

ძნელი და ეკლიანი იყო სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლთა გზა. ჯერ კიდევ 1953 წლის 26 ივლისს 150 შეიარაღებული ახალგაზრდა, 26 წლის ფიდელ კასტროს მეთაურობით თავს დაეკა სანტიაგოს სამხედრო ყაზარმებს. სამწუხაროდ, რევოლუციონერთა ეს პირველი შეტევა მარცხით დამთავრდა. თითქმის ყველა ტყვედ ჩავარდა, დაამატებრივს ფიდელი და მისი ხუთი წლით უმცროსი ძმა რაული.

1954 წელს გენერალ ბატისტას პირველმა მრჩეველმა ურჩია დიქტატორ პრეზიდენტს. გაეთავისუფლებია პოლიტიკური პატიმრები, ვინაიდან, მისი აზრით, „ფიდელი საპატიმროში, როგორც სიმბოლო ბრძოლისა, უფრო საშიშია, ვიდრე ფიდელი თავისუფალი, როგორც მოძალე ქუბისა, პრეზიდენტის მიერ შეწყნარებული". და აი, 1955 წლის 15 მაისს ფიდელი, მისი ძმა რაული და სხვები, მონაკაიზე თავდასხმის მონაწილენი, გაათავისუფლეს. მალე ისინი მექსიკაში გაემგზავრნენ და იქ დაიწყეს მზადება ახალი შეტევისათვის...

1956 წლის 24 ნოემბრის წვიმიან ღამეს, მექსიკის ნავსადგურ ტუქსპანიდან შეუმჩნეველად გაემოდა პატარა სასეირნო გემი „გრანმა", რომლის ეკიპაჟზე 82 კაცი, იარაღი და ტყვია-წამლით სავსე ყუთები იყო. დიდი ღელვის გამო მხოლოდ მეშვიდე დღეს მიაღწია „გრანმა"-ორიენტის პროვინციის სანაპიროებს. მრავალ ასეულ კილომეტრზე გრძელდება კუბის სანაპირო და ყველგან თვალწარმტაცი, შესანიშნავი მისადგომებია. მხოლოდ აქ არის გაუვალი ჭაობი და ზამბარი, სადაც იშვიათად თუ შედგმულა ადამიანის ფეხი. უეცრაცი მისადგომების ძებნისათვის დრო არ იყო. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო გუშაგის გამოჩენა. თენდებოდა. საშიშროება მატულობდა. აჯანყებულნი იძულებული გახდნენ ამ გზით შესულიყვნენ კუბის სიღრმეში,

ფ. კასტრო ოიეის რაზმეულებთან.

ფ. კასტრო ბიგუანის ტერიტორიაზე მიგიდან ხალხს.

ტოტიდან ტოტზე, ხიდან ხეზე ხტომითა და ბაგირების დამპარვებით მიიწევდა წინ 82 პატრიოტი,—ხიდან ჩამოსული ჭაობში დაღუპვით დამთავრდებოდა.

— მიწა!—გაისმა ბოლოს ვიღაცის გაბარბარული ხმა და ცოტა ხნის შემდეგ უკნიდან სროლის ხმაც მიესმა, კანტა-კუნტ სროლას ავტომატის გრძელი ჯეირიც ამოდენა...

„გრანმა"—მათი მეგობარი—ახლა უნებლიე მაბიჯარას როლში გამოვიდა. იგი მოდარაჯე კატარლამ შეინშნა და სროლით მიუახლოვდა მას. კატარლამ ამის შესახებ ხელმძღვანელობას აცნობა. „დაეწიეთ!"—გასცა ბრძანება სარდლობამ და ბატისტას ჯარისკაცებიც გამოუდგნენ.

ფიდელი და მისი თანამებრძოლები ამ დროს ჭაობიდან გასულნი იყვნენ. დაღლილ-დაქანცულნი, შიმშილისაგან ღონეგამხდილი ადამიანები შაქრის ლერწმის პლანტაციებში იყვნენ დაბანაგებულნი. ვიღაც გარეწარმა მათი ადგილ-სამყოფელი გასცა... პატარა ჯგუფებად დაყოფილი

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1958 წლის 31 დეკემბერს კუბის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწენი კამპო კოლუმბიის ერთ-ერთ შენობაში შეიკრიბნენ. აქვე იყო დიქტატორი ფულხანსიო ბატისტაც. მათი შეკრება არ ჰგავდა ახალი წლის წინა მხიარულ ღამეს...

პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა შორის მძიმედ წამოდგა გენერალი კუანტილიო, ჩაახველა და თქვა:—რესპუბლიკის საჭიროებისათვის შეიარაღებულმა ძალებმა დაადგინეს, რომ გენერალმა ბატისტამ გადაყენება უნდა ითხოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლების სათაეში ჩადგება ფიდელი...



თავისუფლებისათვის ბრძოლაში მამაკაცებს ქალებიც უდგანან მხარში.

გახა მარტო „პარტიზანობანას“ თამაში იციან კუბელმა ბავშვებმა.

ეს პატარა კუბელი ბიჭუნა ყოველნაირად ცდილობს ჰგავდეს ხახელგანთქმულ შეამბოხეს, ამისათვის მან ხელოვნური წვერიც კი მიიწება ხახეზე.

ბატისტამ იცოდა ყოველივე ეს. იცოდა, თუ რისთვის ჩამოვიდა ამერიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი, კარიბის ზღვისა და მექსიკის სამმართველოს დირექტორი უილიამ უილენდი, და თავისი „თხოვნა“ გადაყენების შესახებ უყოყმანოდ უკარნახა იქ დამსწრეთ. შემდეგ გარეთ გამოვიდა, აეროდრომისაკენ გაემართა. თვითმფრინავმა სამუდამოდ მოაშორა კუბის მიწა-წყალს ყოფილი დიქტატორი.

აღსანიშნავია, რომ, ბატისტას თან არავითარი ბარგი არ წაუღია. ან რად უნდოდა წაღება, როდესაც მან კუბის სახელმწიფო ბანკიდან, ორი კვირით ადრე, საზღვარგარეთის საიმედო ბანკებში ორასი მილიონი დოლარი გადარიცხა „მოგზაურ“ ფულხენსიო ბატისტას სახელზე...

მეორე დილით კი, 1959 წლის პირველსავე დღეს გამოცხადდა, რომ სამხედრო ხუნტამ, გენერალ კუანტილიოს მეთაურობით, კუბის პრეზიდენტად კარლოს პიედრა დანიშნა.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ მთელი კუბა სულგანაბული უსმენდა რადიომიმღებებს; ლაპარაკობდა ფიდელ კასტრო. იგი ხალხს განუმარტავდა, რომ, მართალია, ბატისტა იძულებული გახდა გაიქცეს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს საბოლოო გამარჯვებას. რევოლუციას ბოლომდე უნდა მიყვანა; რომ დემოკრატიისათვის შვიდწლიანი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება სრული უნდა იყოს, რათა აღარასოდეს გამეორდეს 10 მარტი*.

... და აჯანყებამ ახალი ძალით იფეთქა. ჩე გევარასა და კამილიო სენფუეგოს კოლონები სწრაფი მარშით გაემართნენ ჰავანასაკენ. ბატისტას ჯარების ნარჩენებმა ვერ შეაკავეს ისინი. იმავე საღამოს სანტიაგო დე კუბას გარნიზონი ფიდელისა და რაულის კოლონებს დანებდა.

დამთავრდა ომი, აალებული კუბა დაცხრა, პატარა კუნძულზე მშვიდობისმოყვარე ახალი სახელმწიფო დაიბადა.

---

* 1952 წლის 10 მარტს ბატისტამ სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმი დაამყარა.

ოკვითხრობს აკაკი ხორავა

როცა ზემოთ მოთავსებული მასალა სასტამბოდ იყო გამზადებული, რედაქციას ეწვია ახლახან კუბაში მოგზაურობიდან დაბრუნებული, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ თავის საუბარს „ნახული და გაგონილი“ უწოდა და ჩვენი ჟურნალის მკითხველებს თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა.

— კუბა დღეს შედარებით მშვიდად ცხოვრობს,— დაიწყო მან.—ყოველ დილით ჩვეულებრივად მიემართებიან წარმოება-დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეები. ამერიკის იმპერიალიზმისა და ქვეყანაში ახლახან დამხობილი დიქტატორული რეჟიმის მიერ მიყენებულ იარებს იშუშებს კუბის გმირი ხალხი. სადაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან გამალებული მშენებლობა მიმდინარეობს. იგება საცხოვრებელი ბინები, სკოლები, ბავშვთა ბაგები. მთლიანად ლიკვიდირებულია უმუშევრობა... თუ რევოლუციამდელი კუბა დაფარული იყო უცხოელ კაპიტალისტთა ვილებით, სასახლეებითა და პარკებით, სადაც მილიონერები დროს სატარებლად ჩამოდიოდნენ და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდნენ, ახლა ყველა ეს პარკები, სასახლეები, ვილები ნაციონალიზებულია კუბის რევოლუციური მთავრობის მიერ; ბევრი მათგანი სამუდამო საკუთრებაში გადაეცათ სკოლებს, ბავშვთა ბაგებს.

რევოლუციამდელი კუბა ძალზე ჩამორჩენილი იყო. ჩვენი დელეგაციის წევრებთან საუბარში ფიდელ კასტრომ განაცხადა: „დღიდან გამარჯვებისა ჩვენს ქვეყანაში მომზადდა 10 ათასი პედაგოგი, მომზადდება კ-დევ 20 ათასი და მასწავლებლების ეს არმია იერიშს მიიტანს წერა-კითხვის უცოდინარობაზე. 1961 წელი გადაიქცევა უცოდინარობის ლიკვიდაციის წლად“.

მართალია, კუბაში ახლა ომი აღარ არის, სიმშვიდეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს სიმშვიდე დაძაბულია. ყველგან, სადაც კი ჩვენს დელეგაციას მოუხდა ყოფნა, თითქმის ერთსა და იმავე სურათს ვხედავდით: ბავშვი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, — ყველა შეიარაღებული დადიოდა. ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ მიდის სკოლაში მოწაფე ცალ ხელში წიგნებით და მეორეში — მაგრად ჩაბღუჯული ავტომატით, ან კიდევ მშენებელი მხარზე გადებული წერაქვითა და თოფით რატომ ისწრაფის ახალ მშენებლობისაკენ, ყველგან ერთი და იმავე პასუხს ვღებულობდით: „რევოლუციის მონაპოვარი დაცვას საჭიროებს!“

გაბოროტებული იმპერიალისტები ყოველგვარ ხრიკებს მიმართავენ, რათა სისხლში ჩაახშონ ბრძოლით მოპოებული თავისუფლება და პატარა კუბა ისევ აქციონ თავიანთ ხელმოსათბობ ადგილად.

18 იანვარს დილიდანვე აღელვება დაეტყო კუბას. ხეივნებსა და პარკებში, საზენიტო არტილერიისა და ტყვიამფრქვევლების ლულები აღიმართა. მთელი კუბის მოსახლეობა ინტერვენციის დასამსხვრევად მოემზადა. მაგრამ, როგორც ჩანს, კონტრშეტევაზე გადმოსულ ინტერვენტებს ნ. ს. ხრუშჩოვის გამაფრთხილებელი სიტყვები მოაგონდათ, რომელიც მან მოსკოვში წარმოთქვა: „სოციალისტური სახელმწიფოები და ყველა ხალხი, რომლებიც მშვიდობის პოზიციებზე დგანან, ყოველთვის დაეხმარებიან კუბელ ხალხს სამართლიან ბრძოლაში“.

რადგან ეს თავდასხმა არ გამოუვიდათ, პირში ჩალაგამოვლებულმა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესორებმა ახალ ხრიკს მიმართეს: მათ ეკონომიური ბრძოლა გამოუცხადეს ახალ კუბას. მაგრამ კუბა მარტო როდია. მას ძმური დახმარების ხელი საბჭოთა კავშირმა და სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა გაუწოდეს.

შეიარაღებული შტატების მიერ გამოცხადებულმა ეკონომიურმა ბლოკადამ კიდევ ერთი მარცხი ჩაიწერა თავის ისტორიაში...

ჩვენმა დელეგაციამ მრავალი ქალაქი და სოფელი ინახულა კუბაში და ყველგან, სადაც კი გვიხდებოდა ყოფნა, დაუსრულებელ ხარაჩოებს ვხედავდი. შენდება ახალი კუბა.

ვტოვებდით კუბას და ყველა ჩვენგანს ერთი და იგივე აზრი გვიტრიალებდა თავში: — არა! ვერავითარი მაქინაციები, ტერორები, დივერსიები და ინტერვენციები ვერ შეაჩერებენ კუბის რევოლუციას! თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხის ბრძოლა სამშობლოს კეთილდღეობისა და სრული დამოუკიდებლობისათვის გამარჯვებით დაგვირგვინდება.

„ქალი ბავშვით“—მოსკოვში მოწყობილი კუბელი მხატვრების გამოფენიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი

გაზაფხული საბავშვო ბაღში

საბავშვო ბაღში დღეს დიდი სიხარულია. ზამთრის შემდეგ ბავშვები დღეს პირველად უქუდოდ და უპალტოოდ თამაშობენ ეზოში.

ნაირი ფერებით ირთვება მათი პაწია ბაღჩა. ისეთი მზეა და ისე თბილა, რომ ყველა აღტაცებით ამბობს:

— მოვიდა გაზაფხული! რა კარგია გაზაფხული!

ბავშვები საყვარელ ბაღჩას თავს დასტრიალებენ. ვის ბარი უჭირავს ხელში, ვის — ფოცხი; უნდა დასუფთავდეს ბაღჩა და გალამაზდეს. განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობენ ბავშვები იმ კვლების გარშემო, საცა ია და ენძელა აყვავებულა.

— გამარჯობა, ია! გამარჯობა, ენძელა! — სიხარულით ეგებებიან ბავშვები გაზაფხულის ყვავილებს. — სად იყავით აქამდის? რამდენი ხანია მოგელით!

— ზამთრის სუხსა და სიცივეს ვემალებოდით. გაზაფხულის უბეში გვეძინა! გამარჯობა! ჩვენც გვიხარია თქვენთან შეხვედრა! — უპასუხებენ ბავშვებს ია და ენძელა და ისე გაულიმებენ, თითქოს ყველას პირში კოცნიანო. ბედნიერი ბავშვები შეკრავენ წრეს, შემოუვლიან გარშემო საყვარელ ყვავილებს და სიმღერით შესძახებენ:

— გაზაფხული! გაზაფხული! რა კარგია გაზაფხული!

პახმანგ გორგანელი

ჩემი პაპა

მყავს ბებია, მამა, დედა,
მაგრამ პაპა არ მყავს, არა.
ერთხელ ბებოს შევეკითხე
და ცრემლები გადმოყარა.

მითხრა: — ჩემო შვილიშვილო,
ჩემო კარგო, საყვარელო,
შენი პაპა მოკვდა, მაგრამ
გაიმარჯვა საქართველომ.

თებერვალში დაიღუპა,
გულმტკიცე და პირდაპირი,
ჩვენი ქვეყნის სიხარულში
ურევია მისი წვლილიც.

ვერ მოესწრო საცოდავი,
გაეხარა შვილიშვილით,
შენთვის, შენთვის მოეწყვიტა
ჩვენს ბაღჩაში ვარდი შლილი..

— სულ ყოველთვის მეხსომებ
პაპაჩემი, ქების ღირსი,
ვინაც მკითხავს, ახე ვეტყვი:
ხალხში ცოცხლობს საქმე მისი!

ეურცქვიტას ოინი

ზ ღ ა პ ა რ ი

შეშინებულმა კურდღელმა მხოლოდ ერთი წუთით შეისვენა და კვლავ შუა ტყისაკენ მოკურცხლა. სულმოუთქმელად გარბოდა. მისი ფიქრი ერთი იყო — რაც შეიძლება შორს გასცლოდა თავზარდამცემ ადგილს, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გადაერჩინა თავი, სხვაზე აღარაფერზე ფიქრობდა.

მაგრამ უკნიდან ისევ ისმოდა მონადირეების შეძახილი, ძაღლების ყეფა და ტოტების ლაწა-ლუწი. კურდღელი შურდულივით ეკლებოდა ბუჩქებს თავზე, გრძელი ყურები ზურგზე გადაეყარა და დაოთხებული გარბოდა და გარბოდა.

ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა, მაგრამ ჩვენი კურდღელი მაინც გარბოდა. ვინ იცის, როდემდე ირბენდა გრძელყურა, რომ თავისი დაფეთებული თვალებით მუხის ძირას სორო არ შეენიშნა. არც აცივა და არც აცხელა, ისკუპა და წკაპანი მოადინა შიგ.

ყურცქვიტამ მიიხედ-მოიხედა და შვებით ამოისუნთქა, მაგრამ უცებ რაღაც წკმუტუნი შემოესმა. მრგვალი თვალები უფრო დააჭყიტა, სორო მოათვალიერა და კუთხეში მიყუჟული მგლის ლეკვები დაინახა. მუხლები მოეკვეთა: ეს-ეს არის ძაღლებს ძლივს გადაურჩა, ახლა მგლის ხახაში ამოყო თავი. ლეკვების მშობლებმა არ მომისწრონო, გაქცევა დააპირა, მაგრამ გონს მოვიდა და შერცხვა, რას იფიქრებენ ეს ღლაპები, ჩვენი შეეშინდაო. და მაშინვე გაიჭიმა, უკანა თათებზე ჩაცუცქდა' ყურები ააწკაპუნა, თავისი ნაზი ხმა, რაც შეეძლო, დაიბოხა და ლეკვებს თვალების ბრიალით შეუტია:

— ჰეი, თქვენ, მგლის ღლაპებო, დედათქვენი სად არის?!

— სახლში არ გახლავთ, ბატონო.

— მამათქვენი სადღაა? მინდოდა ერთი კარგად მიმებერტყა!

მგლის ლეკვებს შიშისაგან ენა ჩაუვარდათ. კურდღელმა იფიქრა, ახლა კი დროა აქაურობას გავეცალოო, და უკან-უკან დაიხია; გასასვლელთან რომ მივიდა, სოროდან გამოვარდა და მოუსვა.

— ეჰ, რაღა რა მოხდა! კიდევ კარგი, რომ აქ არ იყავი! შემოვარდა სოროში ერთი საშინელი ხეცა, გრძელყურა, ტუჩგაპობილი, უშველებელი ულვაშებით, წინა ორ გრძელ კბილს ახრჭიალებდა, თან ყვიროდა: «სად არის მამათქვენი, უნდა მივბერტყოო».

მგელი მიხვდა, რომ ეს იმ ცანცარა კურდღლის ოინი იყო და გამოუდგა კურდღელს თავისი ღონიერი ფეხებით.

უცბად კურდღელს კაჭკაჭის ხმა მოესმა:

— ყურცქვიტავ, იჩქარე, მგელი მოგდევს, მგელი!

კურდღელმა ფეხებზე ფეხები გამოიბა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. აი, ტყესაც გასცდა, აგერ მოტიტვლებულ მინდორს იქით დაღმართია ჩასარბენი. უკან მიიხედა და სულ ახლოს მგლის დაკრეჭილი კბილები დაინახა. შიშით ფეხები აებლანდა და დაღმართში თავდაყირა წავიდა. გადაევლო მგელი თავზე, დახვდა წინ და დაიჭირა. მოიგდო ზურგზე შიშისაგან ათახთახებული ყურცქვიტა და გასწია შინისაკენ, შვილებს პირს ჩავატკბარუნებინებო.

დაიწყო კურდღელმა ხვეწნა-მუდარა: მაპატიე, მეტს აღარ გაწყენინებო, მაგრამ ვერაფერს გახდა ბოროტ მგელთან. ამასობაში სოროსაც მიუახლოვდნენ. მგელმა საზარლად შეჰყვირა და ორივე ფეხით მონადირეებისაგან დაგებულ ხაფანგში გაება. კურდღელმა იშოვა დრო, დაუსხლტა და შესძახა:

— ჰეი, თქვენ, მგლის ლეკვებო, გამოიხედეთ! აი, მამათქვენი მოვიყვანე, მე ჩემი სიტყვის პატრონი ვარ. ახლა გაყურებინეთ მაგის სეირს!

ამის თქმა და, დასტაცა თათები ხელკეტს, დატრიალ-



სულ მალე სოროში მგელმა შემოჰყო თავი, შიშისაგან აძაგძაგებული შვილები რომ დაინახა, არ მოეწონა.

— ჩემო პატარებო, ძალიან სამარცხვინოა,—მგლის ლეკვები ასე შეშინებულები გნახოთ ვინმემ ჩვენს ტყეში. განა რა მოხდა ასეთი?

და ციბრუტივით და—ერთი და ორი! ერთი და ორი!—უთაქა და უთაქა მგელს გვერდებში, ხან აქიდან და ხან იქიდან.

შალვა ცხადაძე

ნახატები—ავტორისა

ევრომაჩტა



ეს ახალი რესტორანის სახელია. ეს შენობა ერთადერთი და თავისებურია მთელ მსოფლიოში. მის ასაგებად ჯერ 180 სანტიმეტრი დიამეტრისა და ასამდე მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის სვეტი აღმართეს. ამ სვეტის გარშემო ააშენეს რკინა-ბეტონის შენობა-მოედანი, ჰიდრავლიკური ძრავების საშუალებით ასწიეს მაღლა, თავის ადგილას, და შემდეგ იქვე დაამაგრეს. ასე რომ, შენობას ფაქტიურად მხოლოდ სამი კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს. პირველი სურათზე თქვენ ხედავთ იმ მომენტს, როდესაც შენობა ჯერ „შუა გზაზეა“, მეორეზე კი უკვე ნაგებობის დასრულებული სახეა მოცემული.

მზე... აგრილებს

ტროპიკულ ქვეყნებში ამ უკანასკნელ ხანებში დიდი მოთხოვნილებაა ახალ მოდურ შლიაპაზე. მისი შეძენის სურვილს თანაბრად აცხადებენ როგორც ახალგაზრდები, ისე მოხუცები. რომელიღაც გამოგონებელმა ჩალის შლიაპას თავზე სპეციალური ბატარეა დაადგა. მზის შუქს ბატარეა ელექტროენერგიად აქცევს, ამოძრავებს პატარა ვენტილატორს, რომელიც პირდაპირ ცხვირწინაა თამასაზე მიმაგრებული. რაც მეტად აცხუნებს მზე, ვენტილატორი მით უფრო ენერგიულად ტრიალებს და აგრილებს სახეს.

საგურავი — ძრავა

ბოლო ხანებში ინჟინრები სულ უფრო ერიდებიან მძიმე, ხმაურა მუხლუხებს და მათ საბურავებით ცვლიან. ამისათვის, ცხადია, იძულებული არიან ბორბლების ზომა დიდად გაზარდონ. ახლახან ამერიკაში ბულდოზერებისა და სკრეპერებისათვის გამოუშვეს ადამიანზე თითქმის ორჯერ მაღალი საბურავი. ერთ ფოტოზე თქვენ ხედავთ ამ საბურავს, მეორეზეა იგივე საბურავი გვერდიდან გაჭრილი ხედით. როგორც სურათზე ჩანს, ეს საბურავი უზარმაზარი, უკამერო ბალონია, რომელიც ღერძ-ძრავაზეა ჩამოცმული. საბურავი-ძრავა ელექტროენერგიით მუშაობს.

— რამხელა გაზრდილხარ! აბა, მითხარი, რამდენი წლისა ხარ ახლა, ჰანს?

— თერთმეტის,—მიუგო პატარამ სხარტად.

— როგორ!—უკვირს ძია პეტერს,—შარშან ხომ ხუთი წლის იყავი?!

— დიახ, შარშან ხუთის ვიყავი, წელს ექვსის, სულ თერთმეტი გამოდის!

პეტერი ამხანაგებში ტრაბახობს:

— მე მას ვუთხარი, მიუხედავად იმისა, რომ შენ ჩემპიონი ხარ კრივში, თუ ენას არ გაიჩერებ, მაგრად მიგბერტყავ-მეთქი.

— მერე, მან რა გითხრა?—შეეკითხა ერვინი.

— არაფერი. ეს ვუთხარი თუ არა, იმწამსვე ჩამოვკიდე ტელეფონის ყურმილი.

კარლი ვაშლით სავსე დიდი ყუთის გვერდით დგას.

— ბიჭიკო, შენ მგონი ცდილობ, ჩუმად აიღო ვაშლი,—ეუბნება მას გამყიდველი.

-- არა, ბიძია,—ამბობს დაბნეული ბავშვი,—მე მხოლოდ ვცდილობ, არ ავიღო იგი.

ერიხი ქუჩის პირას დგას და ელოდება როდის გათავდება მანქანების ნაკადი, რათა მეორე მხარეს გადავიდეს. უცბად, მეორე მხარეს მიმავალი ბიჭი დაინახა და გადასძახა:

— ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ, როგორ მოხვდი მანდ?

— სულ ადვილად,—მე აქეთა მხარეს დავიბადე.

— ჩვენი მეცნიერები ახლა მუშაობენ ატომგულის გახლეჩვის საკითხებზე,—ამბობს ფიზიკის მასწავლებელი.

— რა საშინელებაა,—შენიშნა ემამ,—ატომები ხომ ისედაც საკმაოდ პაწაწკინტელები არიან!

გერმანულიდან თარგმნა ს. გელაშვილმა

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲝᲔᲢᲘ

ᲝᲗᲮᲘ წლის წინათ—1861 წლის 10 მარტს გარდაიცვალა უკრაინის სახალხო პოეტი—ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო.

შევჩენკო ეკუთვნის სლავ ხალხთა პოეტების შესანიშნავ თანავარსკვლავედს, რომელსაც ამშვენებენ გენიალური პოეტები: პუშკინი და მიცკევიჩი.

შევჩენკო იყო თანამედროვე უკრაინული მხატვრული ლიტერატურისა და ენის ფუძემდებელი. წარმოშობით ჩაგრული წოდების წრიდან გამოსული, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული პოეტი თავის ლექსებსა და პოემებში დიდი ოსტატობით გამოხატავდა მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამსა და სულიერ მისწრაფებებს. პოეტის ენა ხალხურობით, მაღალი სისადავითა და უაღრესი მუსიკალობით დღესაც სანიმუშოა უკრაინის საბჭოთა პოეტებისათვის.

შევჩენკო იყო დიდი მხატვარი და, ამავე დროს, მსოფლმხედველობით რევოლუციური დემოკრატი, შეუდრეკელი პოლიტიკური მებრძოლი. ვერც პეტერბურგის ციხემ, ვერც შუა აზიის უდაბურმა ტრამალებმა ვერ გასტეხეს შეუპოვარი მებრძოლის გული.

ძველი რუსეთის ბნელით მოცულ ცაზე იგი იყო ერთ-ერთი ჩაუქრობელი ვარსკვლავი, რომელიც დიდ რუს რევოლუციონერ დემოკრატებთან — გერცენთან, დობროლიუბოვთან და ჩერნიშევსკისთან ერთად—მოუწოდებდა დამონებულ ერებს და, კერძოდ, უკრაინელ ხალხს—თვითმპყრობელობის, უკრაინელი პანებისა და პოლონელი შლიახტების წინააღმდეგ საბრძოლველად — ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისაკენ.

შევჩენკო ნატრობდა არა მარტო მშობლიური უკრაინის თავისუფლებას, არამედ თანაგრძნობით უყურებდა სხვა ეროვნებათა, კერძოდ, კავკასიის ხალხთა ბრძოლას—ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის.

ერთ-ერთ პოემაში („კავკასი") ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის, მას მეტაფორულად წარმოდგენილი აქვს კავკასიის მაღალ კლდეზე მიჯაჭვულ, ლეგენდარულ პრომეთეს სახით, რომელსაც ყვავ-ყორანი უკორტნიდა გულს.

პოეტი გამოთქვამდა რწმენას, რომ ბნელი ძალები ვერ შესძლებდნენ სიმართლის დათრგუნვას და, საბოლოოდ, პრომეთე გაწყვეტდა მონობის ჯაჭვს:

ძველთაგანვე პრომეთეოსს
აქ არწივი სძიძგნის,
გულს უკორტნის, მოთქრიალებს
ნაკადული სისხლის,
ეწაფება და ვერ აშრობს
სისხლის ყოველ წყაროს,
გული ისევ მოცოცხლდება,
ძველებურად ხარობს.

ცნობილია შევჩენკოს მეგობრობა დიდ აკაკისთან, რომელიც მან გაიცნო პეტერბურგში, გამოჩენილი ისტორიკოსის, კოსტომაროვის ბინაზე. მას შემდეგ მეგობრობა ორ სახალხო პოეტს შორის არ შეწყვეტილა.

მახსოვს, სიკვდილის წინა წლებში, სახელდობრ, 1911 წელს, თბილისის სახალხო სახლში (დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) შევჩენკოს გარდაცვალების ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ დილაზე, აკაკიმ თავის სიტყვაში თბილად მოიგონა შეხვედრები უკრაინელ პოეტთან.

შევჩენკოსა და აკაკის მეგობრობა სიმბოლიურად განასახიერებდა ორი მოძმე ხალხის, უკრაინელებისა და ქართველების, უკვდავ მეგობრობას.

შევჩენკო დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს ქართველ ხალხში. ქართულ ენაზე არსებობს, ჩვენი პოეტების მიერ თარგმნილი, შევჩენკოს ნაწარმოებთა რამდენიმე გამოცემა.

აღსრულდა დიდი პოეტის გენიალურ „ანდერძში" გამოთქმული ნატვრა. ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა ხალხების მეგობრობა და ახალი შარავანდედით შემოსა დიდი პოეტის სახელი.

ᲕᲐᲡᲝ ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘ

ᲢᲐᲠᲐᲡ ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝ

როცა მოვკვდე, მიმაბარეთ
მე კურგანზე სამარხს.
საყვარელი უკრაინის
ფართოდ გაშლილ ტრამალს.
რომ მოჩანდეს ველი ვრცელი,
ხრამი დნეპრის პირას.
შევყურებდე და ვუსმენდე
დნეპრს, მარადის მყვირალს.

თუ წალეკა უკრაინის
მიწით სისხლი მტრების
და ლურჯ ზღვაში თუ ჩაღვარა,
მაშინ ავფრინდები,
მე დავტოვებ მთას და მინდორს,
ღმერთთან გავწევ ერთი
და ვილოცებ, მანამდის კი —
მე უარვყავ ღმერთი.

დამმარხეთ და დაამსხვრიეთ
ბორკილები რისხვით.
თავისუფალ ბედს ასხურეთ
მტრის ბოროტი სისხლი,
და იმ ახალ დიდ ოჯახში
შვებით თუ დამკვიდრდით,
მეც გახსოვდეთ, მომიგონეთ
სათნო, წყნარი სიტყვით.

თარგმანი **სიმონ ჩიქოვანისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა „პიონერი“

თუ როგორ შეიქმნა ბულგარეთის ქალაქ მიხაილოვგრადში საბავშვო რკინიგზა, უმჯობესია დაწვრილებით გიამბოთ. სულ რაღაც ოთხი წლის წინ ბულგარელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა რკინიგზელის დღე—7 აგვისტო. მიხაილოვგრადის მე-2 სკოლის პიონერები სადგურისაკენ გაემართნენ. აქ ისინი სახელგანთქმულ რკინიგზელებს შეხვდნენ. შეკრებაზე ნორჩმა პიონერებმა რკინიგზელებს სთხოვეს ეამბნათ რკინიგზელთა რომანტიულ პროფესიაზე. დიახ, რომანტიულზე, მაგრამ მასში მარტო რომანტიკა როდია,—სიძნელეებიც საკმაოდ ბევრია, მაგრამ სიძნელის გადალახვა ხომ ადამიანს ნებისყოფას, ენერგიას და ძალას მატებს.

— მე მინდა რკინიგზელი გავხდე! — თქვა მაშინ სვეტლინ ანგელოვმა. მოხუცმა რკინიგზელმა გამომცდელი თვალით შეხედა მას და წყნარად უთხრა:

— რატომაც არა! შეუძლებელს აქ ვერაფერს ვხედავ. უფროსარეს ყოვლისა, საჭიროა ჩამოვაყალიბოთ წრე. პირადად მე სიამოვნებით გამეცადინებთ, არც სხვები იტყვიან უარს.

ასე დაიბადა მიხაილოვგრადელ რკინიგზელთა შესანიშნავი ინიციატივა—შეიქმნას სკოლისგარეშე წრე, რომელიც შეისწავლის რკინიგზელის საპატიო საქმეს.

შრომისმოყვარე პიონერები გულმოდგინედ სწავლობდნენ, ითვისებდნენ ყოველგვარ წვრილმანს, რათა მომავალში თავიანთი მასწავლებლების ღირსეული შემცვლელები გამხდარიყვნენ.

იმ ხანად მდინარე ოგოსტის მარცხენა სანაპიროზე საქალაქო პარკის მშენებლობა მიმდინარეობდა. ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით, სწორედ აქ, ამ ორი წლის წინ აშენდა რამდენიმე კილომეტრის საბავშვო რკინიგზა და საჩუქრად გადაეცა პიონერებს. სადგურის უფროსად დაინიშნა პიონერი ქრისტო ტოდოროვი, მემანქანედ — სტანკო ივანოვი, ხოლო სადგურის მორიგედ სწორედ ის სვეტლინი დაინიშნა, რომელმაც პირველმა გამოთქვა სურვილი გამხდარიყო რკინიგზელი.

საბავშვო რკინიგზა გასართობი როდია! იმათთვის, ვინც არ ზარმაცობდა და კარგად მეცადინეობდა წრეში, რკინიგზა ნამდვილ სერიოზულ საქმედ იქცა...

საბავშვო რკინიგზის გახსნის დღეს, ქალაქის პიონერული ორგანიზაცია უკლებლივ გამოცხადდა. სადგურის უფროსმა ტელეგრაფით აცნობა მათ: «მატარებელი № 1 სამი ხუთტონიანი ვაგონით შემოვიდა სადგურ «პიონერში». ახმაურდა სადგურის ბაქანი, კონდუქტორებმა მგზავრებს ადგილების დაკავება სთხოვეს. სადგურის მორიგე გამგზავრების ნიშანს იძლევა, მემანქანემ სახელური მიზიდა, ორთქლმავალმა დაიკივლა და პატარა მატარებელი ნელ-ნელა დაიძრა... ეს წუთები პიონერებისათვის დაუვიწყარი და, შესაძლოა, მომავალი ცხოვრების განმსაზღვრელიც იყო...

რკინიგზელთა წრის ხელმძღვანელები გასცქეროდნენ მიმავალ მატარებელს. ისინი ხომ თავიანთი ხელებით მართავდნენ მატარებლებს მრავალი წლის მანძილზე, მათზე იყო მინდობილი მრავალი ასეული მგზავრის სიცოცხლე. ახლა, როცა ძველმა სპეციალისტებმა ყველაფერი მოიგონეს, თავიანთი გამოცდილება, ცოდნა ნორჩებს გაუზიარეს,—აღელდნენ. ეს გასაგებიცაა.

განვლო კიდევ ორმა წელმა. ქრისტო, სვეტლინი და სტანკო სხვა წითელყელსახვევებიანებმა,—მათსავით მონდომებულებმა და ბეჯითებმა შესცვალეს. მათ გულებში დათესილი შრომისმოყვარეობის კეთილი თესლი მომავალში კარგ ნაყოფს გამოიღებს: იქნებიან მამაცნი და გამბედავნი, სამშობლოს კიდევ უფრო ლამაზი მომავლის ენერგიული მშენებლები.

ჟურნალიდან—„ბოლგარია“

(ფ ე ლ ე ტ ო ნ ი)

მანქანა დაიძრა. ტროლეიბუსს მოხეთქებულმა მგზავრებმა წინ წაიწიეს. ავტომატურ კარებს შორის მხოლოდ ორი წითელყელსახვევიანი ბიჭუნაა გაჩხირული. ხელში ორივე მათგანს სასკოლო ჩანთა უჭირავს.

— ამოდით ზევით! —მიმართავს მათ კონდუქტორი.

— ახლა ჩავდივართ,—მიუგებს ერთი მათგანი.

— ჯერ არ ამოსულხართ, რა დროს ჩასვლაა!—კამათში ებმება კონდუქტორი.

— ვა, ჩვენი ბრალია, რომ ახლო ვცხოვრობთ?!—გაკვირვებას გამოთქვამს მეორე პიონერი.

— ახლო თუ ცხოვრობთ, ფეხით უნდა წახვიდეთ!

— მერე? ტროლეიბუსმა ცარიელმა იაროს?!

— ბილეთი აიღეთ!—ცხარობს კონდუქტორი.

— აიღე, ოთარ,—მიმართავს პირველი ბიჭი მეორეს.

— შენ აიღე,—მიუგებს მეორე.

— მე ხომ ახლა ჩავდივარ?— ამბობს პირველი.

— მეც ჩამოვდივარ,—იძახის მეორე პიონერი და კონდუქტორს მიმართავს:—დეიდა, ლენინის მოედნიდან საბურთალოს ბოლომდე თექვსმეტი გაჩერებაა, ჩვენი სკოლიდან სახლამდე კი მხოლოდ ერთხელ ჩერდება ტროლეიბუსი. ანგარიშით თექვსმეტ დღეში ერთხელ უნდა ავიღოთ ბილეთი.

— ბიჭიკო, არითმეტიკაში რა გყავს?—ხუმრობის გუნებაზე დგება კონდუქტორი.

— ხუთი.—ამბობს მეორე პიონერი.

— სხვა საგნებში?

— ხუთი... ხუთი... ხუთი...—აჭენებს ისევ მეორე.

— ყოფაქცევაში?

ბიჭი ჩერდება, ეძნელება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

— ტო, გამოცდებია?!—ლაპარაკში კვლავ ეჩრება პირველი პიონერი,—სკოლაში არ გვეყოფა?

— ბილეთი აიღეთ!—თავიდან იწყებს კონდუქტორი.

ამ დროს მანქანა ჩერდება და ბიჭები სწრაფად გადაეშვებიან ღია კარებში.

— დეიდა,—დაბლიდან უძახის კონდუქტორს მეორე პიონერი,—გამოგვიდექი და, თუ დაგვეწევი, ორ-ორ ბილეთს ავიღებთ.

მანქანა მიდის. ბიჭები იცინიან, ისე გულიანად იცინიან, რომ ლამის არის წაიქცნენ.

— ოთარ,—ეუბნება ერთი მათგანი მეორეს,—ფეხით წავიდეთ?

— ვანო, ტო, გიჟი ხარ, რა ძალა გვადგია?!

ბიჭები ახლა მეორე მანქანის კარებში იჭედებიან და ავტომატურ საკეტს ზურგით იჭერენ.

— შუადღე მშვიდობისა!—მიმართავს მათ ახლა ამ მანქანის კონდუქტორი,—დღესაც ჩემი სტუმრები ხართ?

— ვა, დეიდა, გამარჯობა,—როგორ ბრძანდებით?—ეუბნება კონდუქტორს პირველი პიონერი.

კონდუქტორი ცდილობს წასწვდეს რომელიმე მათგანს და კიბიდან ზევით ამოიყვანოს. ბიჭები თვალის დახამხამებაში უსხლტებიან ხელიდან და გაქანებულ მანქანიდან ხტებიან. პირველი მხოლოდ წაბორძიკდება, მეორეს კი ძირს დავარდნილი მისივე ჩანთა ედება ფეხებში და პატრონს ორი მის სიგრძე ადგილს „აზომინებს“. დასვრილი და ხალათჩამოგლეჯილი ოთარი ჩანთას აითრევს და უგუნებოთ მიაბიჯებს შინისაკენ.

— ოთარ, შინ უბილეთოთ მიდიხარ? —ბურტყუნებს ერთი.

— მართლა, ტო, სულ არ დამავიწყდა!—მიუგებს მეორე, და ისინი უკანვე ბრუნდებიან ტროლეიბუსის გაჩერებასთან, რომ მგზავრების მიერ გადაყრილი ნახმარი ბილეთები მოძებნონ და შინ მშობლებს ერთგვარი „ანგარიში“ ჩააბარონ ტროლეიბუსში სამგზავრო ბილეთების შეძენის შესახებ.

ამ ხერხით მოგროვილი ფული კი? ჰკითხეთ, ბავშვებო, ვანოსა და ოთარს—სად მიაქვთ ამ უპატიოსნო ხერხით მოგროვილი ფული?

გ. ივანიშვილი

ნახ. ე. ამბოკაძისა

პრომეთე

პრომეთე — გამჭრიახს, შორსმჭვრეტელს ნიშნავს. თავდაპირველად პრომეთე, როდესაც ტიტანები ზევსს ებრძოდნენ, როგორც შორსმჭვრეტელი, წინასწარ იმის ცოდნე, თუ ვისი გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო ბრძოლა, ზევსის მხარეზე დადგა. ზევსმა გაიმარჯვა და შექმნა კოსმოსი, ქვეყნად წესრიგი დაამყარა.

მითოლოგიის გადმოცემით, პრომეთე ითვლებოდა ადამიანის შემქმნელად და კაცობრიობის მფარველად ღმერთების უსამართლობისაგან. მან ოლიმპიდან ციური ცეცხლი მოიტაცა, მოუტანა ადამიანებს და მისი გამოყენება ასწავლა. თუმცა თავიდანვე იცოდა, რა სასტიკი სასჯელი მოელოდა მას ამისათვის. განრისხებულმა ზევსმა პრომეთე კლდეს მიაჯაჭვა კავკასიის მთებში და მიუჩინა თავისი არწივი, რომელიც ყოველდღე გულღვიძლს უწიწკნიდა. ამაყად იტანდა პრომეთე საშინელ ტანჯვას. ბოლოს ჰერკულესმა მოჰკლა არწივი და გაათავისუფლა იგი.

„ეს ამბავი, — ამბობს აკაკი წერეთელი, — საქართველოში სხვადასხვა ვარიანტებადაა მოდებული. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ აქ პრომეთეს ამირანი ეწოდება“.

აკაკის აზრით, მითი პრომეთეს შესახებ „ჩვენის ქვეყნის შვილია“ და აქედან არის გადასული საბერძნეთში. საქმე ისაა, რომ ეს მითი დაკავშირებულია ცეცხლის გამოყენებასთან — ლითონის დამუშავებისათვის. ძველმა ქართველებმა კი ბერძნებზე გაცილებით ადრე, ძველი წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულის ბოლოს იცოდნენ ცეცხლში ნაწრთობი იარაღის ხმარება. „ამიტომ, — ამბობს პროფესორი შალვა ნუცუბიძე, — თქმულებაც, უშუალოდ დაკავშირებული წრთობილი იარაღის ხმარებასთან, საბერძნეთში უფრო გვიან უნდა შესულიყო“. ამასთან თვით ბერძენი მწერლები პრომეთეს შესახებ თქმულებას კავკასიურ თქმულებად თვლიან და მისი მიჯაჭვის ადგილად კავკასიონს ასახელებენ.

თქმულება ამირანის შესახებ ასახულია ქართულ მითოლოგიურ ეპოსში — პოემა „ამირანში“.

მითი პრომეთეს შესახებ მრავალჯერ აქვთ გამოყენებული მწერლებს, მათ შორის, გოეთეს, ბაირონს, შელის. შელის პოემა, მაგალითად, მთავრდება ცისა და მიწის მფლობელი ზევსის დამხობით, რის შემდეგ ქვეყნად მყარდება თავისუფლება, იმარჯვებს გონიერება და თვითშეგნება.

ოქრ ცეცხლშუა ყოფნა

ამ გამოთქმის წარმოშობას საინტერესო ისტორია აქვს. მონღოლების მიერ რუსეთის დაპყრობის შემდეგ, თათართა ხანებმა ოქროს ურდოში შემდეგი წესი შემოიღეს: რუსეთის მთავრები, წელიწადში ერთხელ, ხანს მორჩილების გამოსაცხადებლად უნდა ხლებოდნენ. ხანთან შესვლამდე რუს მთავრებს ორ წყებად დანთებულ კოცონებს შუა უნდა გაეარათ. რუსები ქრისტიანები იყვნენ და ფანატიკოსი მუსულმანი ხანები ამით თითქოს ცოდვებისაგან წმენდდნენ მათ.

ახლა ამ გამოთქმით ორი გარემოების გამო მძიმე მდგომარეობაში ყოფნას აღნიშნავენ.

...ეს ყველაზე ძველია

მოლაპარაკე ნივთები

მუქკანიანი ავსტრალიელების უძველეს სადგომებში მეცნიერებმა იპოვეს ნახატებიანი კენჭები. ერთ კენჭზე გამოხატული იყო დიდი წრე, მის გარშემო კი — პატარა წრეები. პატარა წრეებს დიდ წრეებთან და ყველას ერთმანეთთან ხაზები აერთებდა (იხ. ნახატი). დიდი წრე დედას ნიშნავდა, ხოლო პატარა წრეები — დედის ირგვლივ შემოკრებილ შვილებს.

მეცნიერებმა ასეთ დამწერლობა-ნახატებს პიქტოგრაფია ე. ი. სურათოვანი დამწერლობა უწოდეს.

ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ტომების ელჩები, როდესაც უცხო ტომებთან გამგზავრებას დააპირებდნენ, ქამარზე ვამპუმებს — სხვადასხვა ფერის მძივებსა და ხამანწკებს აისხამდნენ ხოლმე. ელჩები, მისასალმებელი



სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, ტომების მეთაურებს გადასცემდნენ სამკაულებიან ქამარს და თან დასძენდნენ, ეს ქამარი ჩემს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს შეიცავსო. ტომების ბელადები მშვენივრად კითხულობდნენ ვამპუმებს, რადგან მძივის ან ხამანწკის ფერსა და შეხამებას მათთვის გასაგები პირობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ჭაბუკ ინდიელთათვის ვამპუმი ანბანის წიგნს წარმოადგენდა.

პირველყოფილ ადამიანებს ჰქონდათ სხვა მოლაპარაკე ნივთებიც. მაგალითად, თუ ერთი ტომი მეორე ტომს ისარს ან შუბს გაუგზავნიდა, ეს ომის გამოცხადებას ნიშნავდა, ხოლო თამბაქო და ჩიბუხი — მშვიდობასა და მეგობრობას. ხატოვანი გამოთქმა: «მშვიდობის ჩიბუხი მოვწიეთ», დღესაც ხმარებაშია.

ლ. ჯულაბაშვილი

რა დაუჯდა კაცობრიობას ომები

ამას წინათ, შვეიცარიელმა მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, თუ დაახლოებით რა დაუჯდა კაცობრიობას უკანასკნელი 5 ათასი წლის მანძილზე ჩატარებული ომები. აღმოჩნდა, რომ ჩვენს ერამდე 3200 წლიდან კაცობრიობამ მშვიდობიან ვითარებაში საერთოდ 292 წელი იცხოვრა. დანარჩენ წლებში მოხდა 14 513 დიდი და მცირე ომი, რამაც 3 მილიარდ 640 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო საერთო ზარალმა და საომარმა ხარჯებმა 2150 ტრილიონი შვეიცარული მარკა შეადგინა. თუ ამ თანხას ოქროთი გამოვსახავთ, მივიღებთ ამ ძვირფასი ლითონის ისეთ ლენტს, რომელიც შეიძლება ეკვატორს გარს შემოვარტყათ, ამასთან მისი სისქე იქნება 10 მეტრი, ხოლო სიგანე 161 კილომეტრი.

ყიდულობენ ვულკანს

ამერიკული გაზეთების ფუცლებზე ამას წინათ უჩვეულო შინაარსის განცხადება გამოქვეყნდა. ერთ-ერთ ქიმიურ ფირმას სურს იყიდოს... ვულკანი. მყიდველს განზრახული აქვს თავისი პროდუქციისათვის ნედლეულის სახით გამოიყენოს ვულკანური ფერფლი. გა-

საყიდი ვულკანი უნდა მდებარეობდეს დასავლეთ ნახევარსფეროზე.

მყიდველ ფირმას აუარებელი წერილი მიუვიდა სხვადასხვა მხრიდან. მექსიკამ, პერუმ და სხვა ქვეყნებმა აცნობეს, რომ მზად არიან მიჰყიდონ თავიანთი ვულკანები.

სპილოებს მშენებლობა შეუძლიათ

სპილოებს აუზების აგება შეუძლიათ. საქმე იმაშია, რომ მათ ძალიან უყვართ ბანაობა, საბანაოდ ისინი მრავალ კილომეტრს გადიან. იქ, სადაც ასეთი მობანავეებისათვის ბუნებრივი წყალსაცავები არაა, სპილოები თვითონვე აგებენ ხელოვნურ აუზებს.

ერთ-ერთი აუზი მათ ააგეს მუჩინგა რეიჯის რაიონში (აფრიკა). სპილოების საყვარელი საბანაო ადგილი აქ იყო ნაკადული, რომელიც ფერდობზე მოწანწკარებდა და ღრმულში ჩაედინებოდა. სპილოებმა ღრმულისაკენ გასასვლელი ხეებით, ტოტებითა და ქვებით ჩახერგეს. წყლის დონემ თითქმის მეტრნახევარზე აიწია და საკმაო სიღრმის აუზი გაკეთდა.

გვხვდება, აგრეთვე, სპილოების მიერ აგებული სხვა პატარა აუზებიც, სადაც წყალი ყოველთვის ახალია. სპილოების მიერ ასეთი წყალსაცავების აგება მოწმობს, რომ მათთვის „სამშენებლო ხელოვნება“ უცხო არ არის.

„ტალახში მხტუნავი“

თევზსა და წყალს შორის მჭიდრო კავშირი იმდენად ცხადია, რომ არ საჭიროებს მტკიცებას. ერთ-ერთი, რომელსაც შეუძლია უარყოს ეს აქსიომა, არის თევზი, მას ხუმრობით „ტალახში მხტუნავს“ უწოდებენ.

სხვა თევზებისაგან განსხვავებით, მხტუნავი თევზი ერთნაირად კარგად გრძნობს თავს როგორც წყალში, ისე ხმელეთზე. იგი ცხოვრობს როგორც ტროპიკებში, ისე აფრიკის, აზიისა და ავსტრალიის ჭაობებში.

ზღვის უკუქცევის დროს მხტუნავი თევზი სქელი ტალახიდან გამოდის საჭმლის საძებნელად. მისი ამობურცული თვალები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ: ერთი ეძებს საჭმელს, მეორე კი იყურება უკან, უთვალთვალებს, ხომ არ ეპარება მტერი. „ტალახში მხტუნავი“ ცურავს ძალზე მოძრავი მკერდის ფარფლებით, რომელიც ხელის მტევანს წააგავს.

მიწაზე გამოსვლის წინ მხტუნავი ემზადება ახალი პირობებისათვის: თავის დიდ ლაყუჩებში აგროვებს ჟანგბადის მარაგს. თუ „გასეირნების“ დროს მარაგი გამოელია, წყალში ჩაჰყოფს კუდს; კუდის კანს შეუძლია ჟანგბადი მიიღოს უშუალოდ წყლიდან.

ქვის ფული

ზოგიერთ კუნძულზე დღემდე შემორჩენილია ნიჟარებისა და ქვისაგან დამზადებული ფული, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები იყენებდნენ. მათთან ხურდის მოვალეობას მინისა და სხვა სახის მძივები ასრულებდა.

კუნძულ იაპის ქვის ფული პირველად მიკლუხო-მაკლაიმ აღწერა. ეს ფული წარმოადგენს ქვის ვეებერთელა დისკოს, რომლის სისქე 30 სანტიმეტრამდე, ხოლო დიამეტრი 3 მეტრამდე აღწევს. ამ ფულის ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ოსტატობითა და გულმოდგინებით, რა ხარისხისა და ფერის ქვისაგანაა იგი დამზადებული. ვაჭრობის დროს, ყოფილი მეპატრონე საჯაროდ განაცხადებს, რომ ფული მან ახალ მეპატრონეს გადასცა. ფული კი კვლავ თავის ძველ ადგილზე რჩება.

ახლო წარსულში კუნძულ იაპის მოსახლეობა მოწმე იყო იმისა, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში, როცა უფასურდებოდა ესპანეთის, გერმანიის, იაპონიის ვალუტები, ადგილობრივი ქვის ფული კვლავ ინარჩუნებდა თავის სრულ ღირებულებას.

ტრიუმფალური თაღი

ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი ადის პარიზის ორმოცდაათმეტრიან ტრიუმფალურ თაღზე და საათობით ტკბება უზარმაზარი ქალაქის განუმეორებელი ხედით. ბევრმა როდი იცის, რომ ამ ადგილზე ახლა უზარმაზარი სპილოს ქანდაკება იქნებოდა, ერთ დროს საფრანგეთის იმპერატორის — ლუდოვიკო მე-15-სათვის ცარიელ ქისას რომ არ შეეშალა ხელი. საქმე იმაშია, რომ არქიტექტორებს განზრახული ჰქონდათ აეშენებინათ გრანდიოზული, 120 მეტრი სიმაღლის, სპილოს ფორმის სასახლე, სადაც მოთავსებული იქნებოდა ლუდოვიკოს სამუშაო და მოსასვენებელი ოთახები, სახელმწიფო საბჭოს ორი დარბაზი და მრავალი სხვა რამ.

ორმოცდაათი წლის შემდეგ იგივე პროექტის განხორციელება განიზრახა ნაპოლეონ ბონაპარტემაც, მაგრამ მრჩეველთა დაჟინებული მოთხოვნის შედეგად აგებული იქნა ტრიუმფალური თაღი, რომელიც დღესაც ამშვენებს საფრანგეთის დედაქალაქს.

თაღის თავზე ოთხი სიმბოლური ქანდაკებაა დადგმული: წინ, წინააღმდეგობა, ტრიუმფი და მშვიდობა.



1940 წელს თაღქვეშ თვითმფრინავი გააფრინა ერთმა თავზეხელაღებულმა მფრინავმა. ტრიუმფალურ თაღქვეშ არის უცნობი ჯარისკაცის საფლავი, სადაც ყოველთვის ანთია უქრობი კოცონი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 1. ქალაქი საბერძნეთში; 2. არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ერთ-ერთი რაიონი. 3. ჩრდილი; 5. უდედმამო; 9. „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟი; 11. მსოფლიოს უდიდესი ჩანჩქერი; 12. გამოჩენილი ამერიკელი კინომსახიობი და რეჟისორი; 13. დაბა ძველ საბერძნეთში, სადაც გაიმართა პირველი ოლიმპიური თამაშები. 15. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 23. პირველი სახელმწიფო ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე; 27. ქალაქი საფრანგეთში; 29. მთები ჩეხოსლოვაკიაში; 30. ხის ჯიში; 32. სახელმწიფო სიმღერა.

ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 4. ქალაქი საქართველოში; 6. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 7. გეომეტრიული ფიგურა; 8. ყვავილი; 10. საღებავი; 14. ეროვნება; 16. ჭრილობა; 17. ძვირფასი ქვა; 18. კონტინენტი; 19. კუროორტი ბორჯომის ხეობაში; 20. ლომოურის მოთხრობა; 21. მოუხარშავი ანუ... 22. გამოჩენილი ქართველი მწერლის სახელი; 24. ქართული ეროვნული თამაში; 25. ძალა, უნარი ანუ... 26. ყაზახი მწერალი; 28. ცნობილი ქართველი მსახიობი ქალის სახელი; 31. სამჭედლო იარაღი; 33. ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი; 34. გმირი ქალაქი; 35. მ. ლერმონტოვის ნაწარმოები; 36. საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი.

შეადგინა **ჯ. აბაიშვილმა**

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 1. ნიბლია; 2. ხრიეთი; 4. ფალიაშვილი; 5. აბასთუმანი; 8. „სინათლე“; 10. სარფი; 11. ილურიძე; 12. ნარინჯი; 13. აგარა; 16. სიონი; 17. სამადლო; 18. ბეთანია; 20. ნორიო; 22. ასკილი; 23. საირმე.

ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 3. „პიონერი“; 6. ქარელი; 7. დიდუბე; 9. ანისი; 10. სურამი; 12. „ნათელა“; 14. „ლატავრა“; 15. ოსი; 19. ინი; 21. გოჩა; 23. სურა; 24. კარდანახი; 25. ილიკო; 26. ალამი.

ᲝᲠᲘ ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

ხუთი სხვადასხვა ზომის ფიგურისაგან, რუსული ბეჭდვური „T“-ს მსგავსი ფიგურა აიწყობა ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.

* * *

ასე აიწყობა მოცემული ხუთი ნაწილისაგან კვადრატი.



ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

მამა შვილზე ერთნახევარჯერ უფროსია. რამდენი წლის იქნებოდა იგი 48 წლის წინ, თუ მაშინ შვილზე სამჯერ მეტი ხნის იყო?

გ. გველესიანი

გარეკანის პირველ გვერდზე—
„ეხმარებიან დედას“
ნახ. **რ. ცუცქირიძისა**

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

არც მწყურია, არცა მშია,
დავსრიალებ ფარჩაშია,
პატარა ვარ. ცალთვალა ვარ,
გამოიცან, აბა, რა ვარ?

* * *

თეთრად გავჩნდი,
მწვანედ ვიქეცი,
მზით გავშავდი,
გემო მიქეს.

გ. ჭიჭინაძე

„ПИОНЕРИ“ журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина.
№ 3 1961 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 3—81—85
სსსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». | რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3-81-85
УЭ 00207. ტირ. 29.000. პირ. ფორ. რაოდ. 4½, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 4/III-61 წ. სტამბის შეკვ. 209. გამომც. შეკვ. 103. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის
პ/კ «კომუნისტი». | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
|| ფასი 20 კაპ. |

გაზაფხულის პუჭრიოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ბარის გორაკები და ვაკეები ლილოკრელოთი რომ დაიფარება და კაცი ფიქრობს, ამის შემდეგ დაიწყება ბუნების გამოღვიძებაო, თურმე ნუ იტყვით, გაზაფხულის მახარობლებს უკვე ჩაუბამთ ფერხული და თვალი გაუჭყეტიათ, შესცინიან პირველ გაზაფხულის მზეს. ბუნებას უკვე კაი ხანია გაუღვიძია.

ჯერ კიდევ სველი, თოვლებშორის დაჩენილი გადაშავებული მიწა თითქოს სადაფის ღილებით მოურთავთ, პირდაპირ მიწიდან უფოთლოდ, უღეროდ თავი ამოუყვიათ ენძელებს და ზაფრანას. ესენია—ჩვენში ყველას რომ დაახწრებენ და მოგვესალმებიან ხოლმე, როგორც პირველი მახარობელნი. ორი-სამი დღის შემდეგ მას მოჰყვება კდემამოსილი ჩიტისთავა, რომლის ოქროსფერი ყვავილები ისე ბრწყინავენ თითქოს მორცხვ ღიმილს აფრქვევენო, მაგრამ საკმარისია მზეს ღრუბელი გადაეფაროს, ასისინდეს ჩრდილოეთიდან წამოპარული სიო და, თითქოს მიწამ უყო პირიო, ისე გაქრებიან ეს პირველი მახარობლები. აღარსად ჩანს ენძელა, ზაფრანა, ჩიტისთავა. ხიცივემ დაახურვინა ყვავილსაფარი, ყვავილის შიგნით მოექცა ბუტკო თავის დინგით და მტვრიანებით. ამის შემდეგ ყვავილის ნაზი ნაწილები, დახურულ ყვავილში ადვილად ვეღარ დაზიანდებიან. ამ ყვავილების ასეთი თვისების გამო ჩვენს ხალხში თქმულებაა:

„ერთმა ზარმაცმა კაცმა იკითხა თურმე, მეზობლებო, თივის ასაღებად სამზადისი როდის დავიწყო, ცელი როდის გავლესოო?

როცა ენძელა აყვავდება, იმ დროიდან უნდა ემზადოო,—უპასუხეს.

ძალიან კარგიო!—თქვა და დაიარხეინა გული.

გავიდა ხანი, ხედავს, მეზობლები თივას ეზიდებიან.

კაცო, ე როგორ არის, ენძელა ჯერ არ აყვავებულა, თქვენ კი თივას ეზიდებითო.

აი, შე ნაცარქექია, შენა! წელს ხომ ცივი გაზაფხული იყო, ნიავი ქროდა, ამის გამო ენძელა ძალიან ხშირად არა ჩანდაო,—უპასუხეს მეზობლებმა“.

ეს პატარა არაკი სწორედ იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ხალხმა ძალიან კარგად იცოდა ენძელას და საერთოდ პირველ გაზაფხულის ყვავილების ბუნება. გამოჩნდებოდა თუ არა პირველი ენძელა, ბალღები აიღებდნენ პატარა ბარულებს და, ჰერი ბიჭო, გაჰკრავდნენ მინდორში, იღებდნენ ენძელის ძირებს და პირს ჩაიკოკლოზინავებდნენ ხოლმე. საქმე იმაშია, რომ ენძელა ბოლქვოვანი მცენარეა მიწაში გამხხვილებული ნაწილი აქვს, ხახვივით, ამ მიწის ქვეშა ნაწილში წინა წელს გროვდება ხაზრდო ნივთიერება და ადრე გაზაფხულზე სწორედ ამ ხაზრდოს ხარჯზე ენძელას და მის მაგვარ მცენარეებს ამოაქვთ ყვავილები. ამ დროს ბოლქვში დაგროვილია სახამებელი, შაქარი და სხვა. იგი საკმაოდ ტკბილია და ბავშვებიც მას ეტანებიან. ასეა აგებული ჩიტისთავა, ზაფრანა, თეთრი ყვავილი, ცხენისკბილა, ცისთვალი.

ეს უკანასკნელებიც ადრე გაზაფხულის მცენარენი არიან. ენძელა, ჩიტისთავა და ზაფრანა თუ ღია ადგილებში იზრდებიან, თეთრი ყვავილი, ცხენისკბილა და ცისთვალი ბუჩქნარებისა და ტყის პირის ბინადარნი არიან. ისინიც პირველ გაზაფხულის სტუმრებია, მათი ყვავილიც ხშირად თოვლის გვერდით ანათებს ხოლმე, მათი ყვავილის ნაწილებიც ნაზია, მათაც ეშინიათ სიცივის, მაგრამ ღრუბლიან და ცივ ამინდში მათი ყვავილსაფარის ფურცლები ისე მკვრივად არ იხურებიან, როგორც ენძელასა და ჩიტისთავას ყვავილისა. სამაგიეროდ, ძირს არიან დახრილნი, პატარა ზარებივით ჰკიდიან, ზემოდან წამოსული წვიმის წვეთი თუ თოვლის ფიფქი ვეღარ ხვდება, გარდა ამისა, ბუჩქის ძირას ხომ უფრო მყუდროცაა. ბუჩქნარებში ამ დროს აყვავდება ხარისძირაც—მონადირეთა „ამინდის ბიურო“. დაინახავენ თუ არა ხარისძირას, იტყვიან: „ახლა კი მოფრინდება ტყის ქათამიო“, და მართავენ თოფს, სანადირო ჩანთას.

ბუჩქის ძირას და ტყის პირებში ამათ გარდა სხვანიც იზრდებიან. იანვარშიც კი, თუ თბილი ამინდი დადგა, განსაკუთრებით მზვარე ადგილებში, ყოჩივარდას მარჯნისფერი ყვავილი ყველას ასწრებს და, თითქოს ხხვებისა ეხათრება, უკვე მორცხვად იღიმება—იგი ენძელასაც კი ასწრებს.

ყოჩივარდას მიწაში მსხვილი გორგლი აქვს, ხაზრდო ნივთიერებით გაჟიკნილი. ზამთარს კარგად განვითარებული კვირტებით და ფოთლით შეჰყვება ხოლმე და თოვლქვეშ მწვანე ფოთლით ეკცევა. ამიტომ, საკმარისია თოვლი ადნეს, სამი-ოთხი დღე მზემ დახედოს, და გრძელყუნწიანი კოკრები წამოიწევიან და იშლებიან. რა ვუყოთ, რომ მიწა გაყინულია და ფესვები მიწიდან წვერს ვერ ამოიღებენ, ამ დროს ეს არც სჭირია, მსხვილ გორგლში ხომ უკვე წინა ზაფხულს დაგროვდა ხაზრდო და ყვავილს ესეც ეყოფა. ზოგჯერ ყოჩივარდას ყვავილს შეცდომით იას ეძახიან, მაგრამ იგი იას ვერ შეედრება. მართალია, ია ცოტა გვიან იშლება, მაშინ, როდესაც მიწაზე მოლიც გაჩნდება ხოლმე, მაგრამ ხურნელებით მას ვერც ერთი გაზაფხულის ყვავილი ვერ დაედრება. ია როდესაც გაიშლება, გაზაფხულის სუნი მაშინ იკმევა. ია თვალსაც ახარებს, გულსაც და ენოსვასაც, ამიტომაა, რომ ია ყველას უყვარს, დიდსაც და პატარასაც. შეიძლება ამიტომ გამოთქვეს ერთი პატარა ლექსი, რომელშიაც, ვითომ ია მიმართავს ენძელას:

ნეტა შენა ენძელაო,
წელიწადში სამჯერაო
ერთხელ მოვალ, მოვშავდები,
გოგოს გულზე ჩავშავდები.

ამ ლექსის გამომთქმელი ნანობს, რომ ია ერთხელ ყვავდება ხოლმე, სამაგიეროდ, ენძელა კი სამჯერაო. სინამდვილეში ენძელა კი არა ჰყვავის სამჯერ, არამედ გარეგნულად ენძელას მსგავსი ზაფრანა. ერთი ზაფრანა ენძელასთან ერთად ჰყვავის, ადრე გაზაფხულზე, მეორე—პირველ შემოდგომაზე და მესამენაირი ზაფრანა კი—გვიან შემოდგომაზე. ლექსის გამომთქმელს კი ეგონა, ყველა ეს—ენძელაოო...

ამ დროს ხნულებში, ჯეჯილებში და ბევრგან უამინრზე უყდმოღერებული იცქირება ზამბახი, რომელსაც ბადიან ზამბახს ეძახიან, რადგან მიწაში მოთავსებული ძირი ბადისებრი საფარითაა დაფარული.

აყვავებულა ნაზი კესანე, პაწაწინა ციკნიყურა, ქონა-ქონა, ღვინა, პატარა ქუთქუთა. ბევრი ხეც იღვიძებს ადრე. თხილი რომ საყურეებს დაიკიდებს ხოლმე, ეს სწორედ მისი ყვავილია, ეს საყურე კი ხშირად თებერვალში და ზოგჯერ ადრე ჩნდება. მას მოჰყვება ტირიფი, მდგნალი და სხვა მრავალი.

ჩვენებურ მუხიანებში და რცხილნარებში ადრე გაზაფხულზეკე ჩნდება პირისფერი ფურუსულა—ლამაზი და კოპწია. დაიყვავილებს თუ არა ეს ფურუსულა, ფეხდაფეხ მისდევს ყვითელი ფურუსულა და ეს კი უკვე იმას ნიშნავს, რომ გაზაფხული ძალაში შესულა. ახლა, გინდ თოვლი წამოვიდეს, უკვე ვეღარ შეაშინებს გაზაფხულის ჭრელ-ჩოხა და ჭიოტაკაბიან მაყრიონს. ეს თოვლი უნდილი და დროებითია. ბევრი ყვავილი თავსაც აღარ ხრის დაბლა, არც ყვავილსაფარს ხურავს.

ახლა გამარჯვებულია გაზაფხული, ზამთარს ძალა გამოელია.

მოდიხ გაზაფხული და მოიმღერის, წინ მოუძღვის ყვავილთა მაყრიონი.

აკადემიკოსი
ნიკო კეცხოველი

ბაღისა და ბოსტნის ეკალი

ერთგულელი
ბიბლიოთეკა

ენძელა

ფურუსული

ია

ზაფრანა

ცისთვალი

ჩიტისთავა

ყოჩივარდა

ქარცული ზამბახი

თეთრი
ყვავილი

არნო ონელი

ცნობილ საბავშვო პოეტს არნო ონელს დაბადების 80 წელი შეესრულდა. არნო ონელის პოეტური ნაწარმოებები ნორჩ მკითხველთა შორის პოპულარობით სარგებლობენ. ისინი მოზარდთათვის ნერგავენ სამშობლოსადმი, სწავლისა და შრომისადმი სიყვარულს, აღვიძებენ მეგობრობის კეთილშობილურ გრძნობას. ა. ონელი ჩვენი ყურნალის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელია.

სიმღერა

ვინ არის გაზაფხულის მზით
სხვაზე მეტად რომ ხარობს,
ხალისით დასწყაფდეს
ცოდნის და სიბრძნის წყაროს?

სად გნებავთ, რომ არ დაჰკრიდეს
თავის ოცნების რაშით:
ფიზლა—ჩვენს დედამიწაზე,
მაღლა—ცის კამარაში.

ვინ არის ქვეყნის იმედი,
გულს რომ აღავსებს ლმენით,
ხვალინდელ დღეებს შეამარის
შვებით და აღმაფრენით?

ვინ არის? ერის მზეენება—
ნორჩი თაობა ჩვენი!

აი მთა, ეხეკ სოფელი...
ფილაა, ბრწყინავს ცვარი,
მუდამ ტკბილმოსაგონარი
გუგუნებს სკოლის ზარი.

მოდიან... ფარფაფდებიან
გზები და კარიბჭენი,
უმდებლო მწყობრი ნაბიჯი,
ალმასხვეტებიც შენნი.

ეხენი? ერის ხუნოკვა—
ნორჩი თაობა ჩვენი!

არნო ონელი

მოთვინიერებული კარბაუ

ერიკ ლუნდკვისტი

ეს კუნძულ იავაზე მოხდა. ერთ პატარა სოფელში ძველი „ფორდით“ ჩავედი. დიტერეი მანკანა და ტეტსაკენ გავეშართე. მანკანის ირგვლივ ბავშვების ჯგუფი შეიკრიბა, მაგრამ მე არ ვუშუდი,—ეიცოდი, რომ ისინი არაფერს შეეხებოდნენ და არე არაფერს გაიფუტებდნენ.

რამდენიმე საათის შემდეგ უკან რომ დაბრუნდი, ბავშვებს უკვე ეეღარ მოვეფეწარი. დაღლილი, ოფლიანი სავეს მივეჯაჭი,—ორმოცი კილომეტრის გავლა მეღირა ამ პატარა ქალაქამდე, სადაც სასტუმროში ღამის გათევეას ვაპირებდი.

სასტუმრო საკმაოდ ბეერი ქოხმახისაგან შედგებოდა. ისინი გარს შემორტყმოდნენ ბაღს, სადაც მაღალი ხეები და პალმები იზრდებოდნენ. აყვავებულ გაზონებს შორის მაგიდები იდგა, გარშემო კი სასტუმროს მკვიდრნი ესხდნენ.

ეზოში რომ შეეედი, მაშინეა დავინახე: ჩემს მანკანაში შიშველი ბიჭუნა იჯდა, სლეკუნებდა და შიშისაგან მოელი ტანით ეახეახებდა. როგორც ჩანს, სანამ მანკანა სოფელში იდგა, შიგ შემძვრალიყო და ჩემი სავარძლები ჩასძინებოდა. როცა მანკანა დაეძარი, ტეტყობა, გაეეღვიძა, მაგრამ იმის შიშით, რომ არ შემეჭნია, თავეიეით სულგანაბული იჯდა,—მან ხომ კარგად იცოდა, როგორი ავები არიან თეთრი ადამიანები!

როგორ მოეკეეულიყავი? უკანეე წამეყვანა! საშინლად ვიყავი დაღლილი და მანკანის მართვა აღარ შემეძლო. ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე ბიჭუნას დაშვეიება. ბავშვმა დაინახა, რომ არ ეეცხარობდი და მყისვე გამხიარულდა. მოსამსახურემ მას დიდი თეფშით ბრინჯი მოუტანა.

ვერც ეი მოასწრო მან ბრინჯისათვის თავი გაეერთმია, რომ ქუჩიდან ყეერილი და ხმაური მოისმა—უცებ ბაღში უზარმაზარი ნაცრისფერი კამეჩი შემოიჭრა. ჩანდა, რაღაცას ძალზე შეეშინებინა და ეზის გაფრჩეეულად მიმკრთალდა.

კარბაუ—ასე უწოდებენ ინდონეზიაში ამ უზარმაზარ-რეკნიან, ახოვან კამეჩს, ყველაზე თვინერი და წყნარ ცხოველს დედამიწაზე. მე ძლიერ მომწონს კარბაუ, ყოველთვის მაკვირვებდა მისი უზომო ძალა და სიმშვიდე.

მაგრამ კარბაუ, რომელიც ბაღში შემოიჭრა, თავზარდაცემული იყო და ცოფს ყრიდა. იგი პირდაპირ გაეკენა ახლომდებარე მაგიდისაკენ და გადაეაყირავა იგი. ამ საშინელი შემოტეეისაგან მაგიდასთან მჯდომმა ადამიანმა რაღაც სასწაულით დაიჭირნენ თავი.

იქვერობა შიშის ზარმა მოიცეა. ქალები კიოდნენ, ყველა ჩქარობდ როგორმე ქოხმახებში შეეფარებინა თავი. ჩასუქებული ჰოლანდიელი ქალი სავარძლში გაჯახირეულიყო, ადგომა ეეღარ მოეხერხებინა და ცეცი ხმით წყოდა.

კამეჩმა ეს დაინახა და პირდაპირ მისკენ გაეშართა. არც ერთ მამაკაცს არ ეყო გამბედაობა მიშველებოდა მას. ოფიციანტები ჩაეეიროდნენ. კამეჩს სკამებს უშიდნენ, მაგრამ ახლო მისვლას ვერ ბედავდნენ. კამეჩი კიდევ უფრო გაადდა და, მაობალი ეითხრათ, მეც შემეშინდა ვერანდიდან ჩამოსვლა.

როგორ მოვიქეე? გაეიქეე რეგოლეერისათვის? და მოგკლა გახდილებული პირუტყვი? უცებ, პატარა შიშველი ბიჭუნა, ჩემს ეგვრდით რომ იჯდა, წამოხტა და კამეჩისაკენ გაიქცა. გარსოდა და თან რაღაცას ბულმოსულად და ბრძანების კილოთი ყეიროდა.

საკვირველი რამ მოხდა: როგორც კი ბიჭის ხმა გაიგონა, კამეჩი შეჩერდა. ბიჭუნამ მიირბინა პარტყეეთან, მუტები შემოაკრა ფრუნჭზე, წამბი, ტალახით შეთითხნილ ფართო ზურგზე შეახტა და თავისი წერილი ფეხებით დაუწყო ცემა.

კამეჩი ფყისეე მოთვინიერდა და დამშვიდდა. მორჩილად შეასრულა ბიჭის ბრძანება, აუჩქარებლად გაეიდა ეზოდან და ზურგით გაიეეანა შიშველი ბიჭუნა.

შეშინებულნა ჰოლანდიელებმა დიდხანს ვერ შეძლეს გონს მოსულიყვნენ. ვინ ტეროდა, ვინ იეინოდა. ჩასუქებული ქალი კვლავ სავარძლიდან ეეღარ ამოსულიყო.

შემდეგ გაიგეეთ, რომ კამეჩი თეფშენ ორთვალიან ურემს მიაბარეედა ეზაზე, მას ატანდნენ ფალანგებზედა, დამფუთხალიყო, ეფიცი გადადატეა და გაქანეულიყო.

გამოჩნდა კამეჩის პატრონი, შემდეგ კი პოლიციელიც მოვიდა, დაეწყო ლანძღვა-გინება კამეჩის პატრონს. მანკანის ფფლობელთან შეკამათება კი მან ვერ გაბედა: იგი ბომ ჰოლანდიელი იყო.

სასტუმროს მდგმურებმა ჩემი პატარა მეგობრის დასაჯილდოებლად გადაწყვეტეს ფული შეეგროვებინათ. მეორე დღეს, სანამ ბიჭუნას სახლში წავიყვანდი, ბაზარზე გავედით და ფოელი მისი ოჯახისათვის ტანსაცმელი ფყიდეეთ. წარმოიდგინეთ, როგორ გაეხარეეზოდათ სახლში, როცა ბიჭი ცოცხალი, ჯანმრთელი და ისიც საწუკრებით დაბრუნდა.

თარგმნა **ჯ. ჩიკოვანმა**

ნახ. **ნ. ფალიკაშვილისა**